საქართველოს სახ... ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 143
ივლისის 3, ხუთშაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 143
ივლისის 3, ხუთშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია პირველ ივლისიდან «ივერია» აღარ გაეგზავნება.

პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია"

ჰღირს 6 მანეთად.

გაზეთის „ივერიის" ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ.25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

შაბათს, 5 ივლისს, გარდაცვლილი იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი

ანნა გიორგის ასულის კალოუბანსკისა,

რასაც მწუხარედ დაშთენილი დედა მისი, ქვრივი ელისაბედ ივანეს ასული კალოუბანსკისა აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ და სთხოვს მობრძანდნენ ტფილისის კალოუბნის ღვთისმშობლის ეკლესიაში. წირვა დაიწყება 10 საათზედ და პანაშვიდი 11 1/2-ზედ.
(1—163—1)

თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში ამა 1903 წელს დანიშნულია ხელ-მეორედ გამოცდა 25 და 26 აგვისტოსათვის, ხოლო მისაღები ეგზამენი იქმნება 27 და 28 აგვისტოს. პარაკლისი გადაიხდება 1 სექტემბერს და სწავლაც იმ დღეს დაიწყება.

გარედან მოსიარულე შეგირდები იხდიან სწავლის ფასად წელიწადში 40 მანათს, პანსიონში მყოფნი, შენახვისა და სწავლისათვის ცხრამეტს თუმანს, ხოლო ნახევარ ხარჯზედ მყოფნი პანსიონში—ათს თუმანს. ეს დაწესებული ფასი უნდა შემოტანილ იქმნას ნახევარ წლობით, თითოეულს ნახევარ წლის დამდეგსვე. (2—6—2)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

ნიკოლოზის ქუჩიდან გადავიდა ახალ სადგომში, ველიკოკნიაჟესკის ქუჩაზე,
(მეცხრე სახლი კუკიის ხიდიდან)
აბრამოვის სახლში № 9,მიხაილოვის ქუჩიდან-კი № 34

სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(3—6.—2).

რადგან კბილის ექიმი
ი. ა. ახალშენიშვილი

1 ივნისიდგან 10 აგვისტომდე სოფლად იქმნება, ავადმყოფების მიღება ტფილისში ამ დრომდე შეწყვეტილი იქმნება.

(5—3).

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ხ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო-ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტიხიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ზქელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1 1/2 საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1 1/2 საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

გ. ხ. ლევი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7 1/2 საათამდის, ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ნ. ა. თარხანოვი. 7 1/2—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ხ. ა. ნავასარდიანი. 8 1/2—8 ს.

ხ. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გათებსსაუკე ფლში მსურველთ ,,მასსაჟს'', აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე—ორშ., ოთხშ.. და შაბათ. 10—11.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 11—1 ს.

გ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით 11—12 ს.

ზრ. ვ. ხოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით. (წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ტფილისი

◆ კავკასიის მთავარმართებელი თ-დი გ. ს. გოლიცინი, როგორც გაზეთ „კავკაზს" ცნობა მოსვლია, პეტერბურგიდგან წამოვა კავკასიისაკენ ამ ორ-სამ დღეში.

◆ საქართველოს ექსარხოსის დროებითი მოადგილე ყოვლად სამღვდელო გორისა ბენიამინე, პირველი ქორ-ეპისკოპოზი ქართლ-კახეთის ეპარქიისა, ამ ზაფხულს შუა-მთის მონასტერში გაატარებს, სადაც უკვე გაემგზავრა.

◆ შემახიდგან დეპეშა მოვიდა, რომ მღვდელი ვასილ კარბელაშვილი, რომელიც თოფით დასჭრა ვიღაც მალაკანმა, ეხლა უკედ არისო.

◆ ჩვენ გადმოგვცეს, რომ ბ-ნი ჩახნიაშვილი, რომელიც სამრევლო სკოლებში გალობას ასწავლის, ქართულ საგალობელ ნოტებს ამზადებს, რომლებიც მერე პატარა რვეულებად დაიბეჭდება. ამ გამოცემებისათვის საჭირო ფულს დაჰპირებიან კიდეც. ვისაც ბ-ნ ჩახნიაშვილის დასის გალობა მოუსმენია, ის ადვილად მიხვდება, რა ნოტები გამოუვა ამ მთხუზველს. ანჩხატობას რო „ჩვენთანაა ღმერთი" იგალობა იმისმა დასმა, ქართულ გალობას არაფრით არ წაავავს. ამისთანა მძიმე საქმეს რო ხელსა ჰკიდებს კაცი, წინადვე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ შრომა მადლად ჩაუვლის და არა გასაკიცხად.

◆ ქუთაისის გუბერნიას 1 ივლისიდგან ბათუმის მხარე ჩამოერთვა და გუბერნატორს სამხედრო ნაწილიც აღარ ექვემდებარება. ბათუმის ახალ ოლქს განაგებს სამხედრო გუბერნატორი, რომლის თანამდებობა, უმაღლესის ბრძანებით, ებოძა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწედ ნაყოფს დრიაგინს, მისი კანცელარია ჯერ არ არის სრულიად შემდგარი, მთავარმართებლის თანაშემწემ 29 ივნისს დაამტკიცა საგანგებო საქმეთა და საადმშენებლო განყოფილების მოხელეთა შტატი.

◆ ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ ვისაცა სურს ზაქათალის ნოტარიუსის ადგილის მიღება, გამოცხადდეს მასთან სასამართლოში, თავის ვინაობის ქაღალდებით, 22 სექტემბერს, დილის 10 საათზედ, როდესაც სასამართლოში ხსენებულ ადგილის მაძიებელთა გამოცდა იქნება.

◆ ახლად დაიბეჭდა სავაჭრო, საკონსულო და ვექსილების კანონთა წიგნი, რომელსაც 1903 წლის გამოცემა ეწოდება.

◆ ტფილისის ფუნიკულერს ჯერ დაარსების დღე მალე არ უთენდება. 10 ივლისს თავდება ვადა, რომელიც ა. რობის ჰქონდა მიცემული აქციონერთა კომპანიის დასაარსებლად. ეს კომპანია ჯერ არსადა სჩანს, და რობიც მიყუჩებულია. ამას წინად ქალაქის სოვდაგრები აპირობდნენ კომპანიის დაარსებას და კრებაცა ჰქონდათ, მაგრამ არცა-რა ამით გარიგდა-რა. აქციონერებს ნოტარიუს მღებრიშვილთან უნდა მოეწერათ ხელი და გამოეცხადებინათ, რა თანხის აქციას იღებენ. დღემდე ხელის მოწერა 50,000 მანათამდე ძლივს ასულა. ამბობენ, დანარჩენ აქციებს ბელგიის უსახელო საზოგადოება აიღებსო, მაგრამ ნამდვილი ჯერ არავინ იცის. თუ ამ თვის 10-მდე ქალაქის გამგეობას არ წარუდგინეს წინად 45,000 მანათი, საქმე კარგა ხანს მიიძინებს.

◆ ფოთის ქალაქის საბჭოს დაუდგენია ყოველ წელს ღარიბ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებას 500 მანათი აძლიოს. ამ ხანად ქალაქის მოურავს გამოუგზავნია კიდეც 500 მანათი. ეს ამბავი აქაურ გაზეთებში სხვა და სხვა ნაირად არის მოყვანილი. „ახ. მიმ." ამბობს, რომ ქალაქი ფოთი მხოლოდ 50 მანეთს დაჰპირდა სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებას და 50 მანათი გამოუგზავნაო. ცნ. ფურც." ამბობს ფოთის საბჭომ აღუთქვა ყოველ წელს 600 მანათი აძლიოსო.

◆ ნიკოლოოზის საქალაქო სასწავლებელში ახლად მისაღებ ბავშვების ეგზამენი 26—28 აგვისტოს იქნება. სწავლის ფასი, 16 მანათის მაგიერ, 22 მანათი გაუხდიათ.

◆ გორის მაზრიდან სწერენ „ცნობის ფურცელს", ეს რამდენიმე დღეა აქ თავზე ხელაღებულთა ბრბო შესდგა. ამ ბრბომ ამას წინად სოფ. ატოციდან სამი ქალი მოიტაცა და მახლობელ ტყეში სამი დღე დაჰყო. ამავე ბრბომ სოფ. ალში მცხოვრებს დავით ჯანაშვილს შეუთვალა, ფული გამოგვიგზავნე თორემ აგიკლებთო. შეშინებულ ჯანაშვილს ცოლშვილი სურამში გაუგზავნია და ყველაფერი პოლიციისათვის უცნობებია":

◆ ტფილისის პირველ ღამის თავშესაფარის გამგემ მ. კლდიაშვილმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას ანგარიში თავშესაფარის მოქმედების შესახებ ივნისში. თავშესაფარში ყოფილა 1285 მამაკაცი, 179 დედაკაცი, სულ 1464 კაცი. აქედან ქართველი ყოფილა 122 მამაკაცი და 60 დედაკაცი (?), რუსი—511 მამაკაცი და 85 დედაკაცი, სომეხი—604 მამაკაცი და 30 დედაკაცი, პოლონელი—48 და გერმანელი—4. კარგი იქმნებოდა ამ ქართველ დედაკაცების ვინაობა გვცოდნოდა, რა გაჭირვებამ მიიყვანა ისინი თავშესაფარში?

◆ პოლიციის მე-9 ნაწილში, 27 ივნისს, გაიანე ფარნაკიანცისას უშობია ბავშვი მამრობითის სქესისა. 29 ივნისს ბავშვი უნახავთ ჩაფლული ფარნაკიანცის სახლის ეზოში. მოუწვევიათ ქალაქის უბნის ექიმი და ამოღებულ ბავშვის გვამი შეუმოწმებიათ. ექიმის შემოწმებით. ბავშვი ჯერ მოუკლავთ და შემდეგ ჩაუფლავთ. პოლიციამ ეს ამბავი შეატყობინა ბრალმდებელს.

◆ ერთს ფრანგთა კომპანიას სურს იყიდოს სპილენძის მადანი ჩვენს ქვეყანაში. კომპანიის ადრესი: Paris, rue Teslay 41 m. s. Champnl.

◆ დღეს ტფილისის ოლქის სასამართლოში გაირჩევა საქმე იაკობ დამამშევსკისა, რომელსაც ბრალდება, რომ ტფილისის სადგურის უფროსის კაზიმირ კულჩიცკის ცილს დასწამა, ვითომც იგი ქრთამს ართმევდა ბარგის მტარებელთ. თითონ დამამშევსკი ამ ბარგის მზიდველთა უსტაბაში ყოფილა და სადგურის უფროსზე საჩივარი მიუცია რკინის გზის უფროსისათვის.

◆ ზესტაფონიდან გვწერენ: კვირას 29 ივნისს, დილის ხუთ საათზე, მდინარე ყვირილაში საბანაოდ ჩასულა სოფ. ხორითში მცხოვრები ბეკო კალანდაძე, უეცრად მორევში ფეხი გადასცდენია და დამხრჩვალა. მიცვალებულის გვამი მაშინვე იპოვეს.

მცოდნე მეურნენი
და
სამეურნეო შინაარსის წიგნები გვჭირია.

(ხმა სოფლიდამ).

ჩვენს მწერლობაში ხშირად გვესმის საუბარი—სოფელში სამეურნეო ცოდნის გავრცელების შესახებ. მაგრამ საქმით კი ჯერ ძალიან გულ-გრილად ეკიდებიან ამ უდიდეს საქმეს ქვეყნის წარმატებისას. „ხალხი გამრავლდა, მიწა გამოიფიტა, ძველებური მუშაობა და იარაღი დღეს გამოუსადეგარია". გვესმის ყოველ დღე; მხოლოდ სიტყვის საქმეთ მქცეველნი და ნამდვილი გულ-შემატკივარნი კი ჯერ ნაკლებად სჩანან. გვყავს ისეთი მცოდნე კაცნი, რომლებიც, თუ მოინდომებენ, საქმითაც გვიშველიან და სიტყვითაც, მაგრამ გავკადნიერდები და მოგახსენებთ, რომ ასეთ მცოდნეთ უმეტესად აკლიათ ის გამბედაობა, რომ სოფელში დაბინავდნენ, მუშაობას ხელი მიჰყონ და რამდენსამე წელს სოფლურ გაჭირვებას გაუძლონ. უამისოთ კი სოფლებში სამეურნეო ცოდნის გავრცელება შეუძლებელი მგონია. თუმც გაჰბედეს სოფელში მუშაობა მცოდნეთ, მაინც ნაკლებს სარგებლობას მოგვიტანენ, თუ დედა-ენა კარგად არ იციან. ხალხი ინტელიგენტს მეურნეს პირველად სასაცილოდ იღებს, მაგრამ რაკი მათის მუშაობის ნაყოფს დაინახავს, შემდეგ სულითა და გულით უახლოვდება და სხვა-და-სხვა რჩევას ჰკითხავს, რომ იმის ცოდნით მაინც ისარგებლოს. მაგრამ ასეთი სურვილი უმეტესად აუსრულებელი რჩება დედა-ენის უცოდინარობის გამო ინტელიგენტ მეურნისაგან. ერთხელ იმის მოწამე გახლდით, რომ კარგმა მეურნემ ის ვერ აუხსნა გლეხს თუ ვენახის დამყნობა რად არის საჭირო.

ძლიერ კარგი იქნება, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს, მცოდნე კაცებმა წერონ და თარგმნონ გასაგების ენით სხვა-და-სხვა სასარგებლო სამეურნეო წიგნები. დაწესდეს ამ წიგნების იაფ-ფასად გამომცემი ამხანაგობა. იმ დალოცვილმა წიგნების გამომცემლებმა, რომლებიც უხვად გაწვდიან უხეირო ლექსებითა და მოთხრობებით სავსე წიგნებს, ხელი აიღონ ამ უმნიშვნელო ხარჯზე და ასეთი შინაარსიანი წიგნები ჰბეჭდონ,— ამით ხალხსაც მეტ სარგებლობას მოუტანენ და მრავალი ქარაფშუტა ყმაწვილების თავმოწონებასაც ბოლო მოეღება, რომლებსაც თავი ბელეტრისტებათ და პოეტებათაქვთ წარმოდგენილი და ნამდვილ საქმეს ნაკლებად ეტანებიან. ლექსებისა და მოთხრობების წერა რომ ჩვენში მისაბაძად არის, ისე რომ სამეურნეო წიგნების წერა და თარგმნა ყოფილიყო, ეხლა ბევრად მეტი მნიშვნელობა ექნებოდა სოფელში რიგიან მუშაობას.

ძლიერ კარგს იზამს ერთ-ერთი ქართული ჟურნალი ან გაზეთი, რომ თავიანთ გამოცემას სამეურნეო განყოფილებას დაუმატებდეს, აგრეთვე ვურჩევ და ვსთხოვ იმ მცოდნე ახალგაზდებს, რომლებიც ამ ზაფხულს თავს იყრიან სხვა-და-სხვა აგარაკებზე, მთელს დროს არშიყობასა და კავალრობას ნუ მოანდომებენ და სასარგებლო წიგნების წერასა და თარგმნაში მონაწილეობა მიიღონ, მიჰბაძონ ბ-ნ ნ. კალანდაძეს, რომელმაც ძლიერ სასარგებლო წიგნი „მწვანე სამეფო" მოგვაწოდა, თორემ მარტო სიტყვა არას გვიშველის. დღეს რომ მეურნეობა არა გვაქვს იმისი მიზეზია, რომ საწყალი გურია ცილის წამებასა და გაჭირვებაში ჩავარდა. ხვალ საქართველოს სხვა კუთხეებსაც ეს დღე მოელის იმავე მიზეზის გამო.

X.

სომხის კათოლიკეთა საქმე.

„ვისაც ველოდით, მოვიდა,
აწ, გულო, გამხიარულდიო".

200 წელიწადზე მეტია, რაც ახალციხეში არსებობს სასულიერო მმართველობა, რომლის გამგეთაც ინიშნებოდნენ რომიდან კათოლიკე მისიონერები და შემდეგში ადგილობრივი ქართველთა კათოლიკეთა მღვდლები სომხის ტიპიკონისა. ეს მისიონერები და მღვდელნი იწურთნებოდნენ რომის უმაღლეს სასწავლებელში და შემდეგ აქ ინიშნებოდნენ უფროსებად. ექვემდებარებოდნენ მისიონერ კაპუცინებს.

ამნაირი მართვა-გამგეობა არ მოსწონდათ სომხებსა და მუდამ სცილობდნენ, რომ ეს მართველობა ხელთ ეგდოთ; ამისთვის არავითარ საშუალებას არ ჰზოგავდნენ, მაგრამ ამაოდ; შემდეგში მიჰმართეს ამ ხერხს: რომში მყოფ სომხის კათოლიკე მღვდლებმა დაიმეგობრეს „პროპაგანდაში" მყოფი მოსწავლე პავლე ჯინიმუზაშვილი (შახყულიანი), რომელსაც ამჩნევდნენ დიდს ნიჭს და უნარს სწავლისას. ჩააგონეს, რომ როდესაც მღვდლად გახდებოდა და დაბრუნდებოდა ახალციხეში, გულ მოდგინეთ მოჰკიდებოდა იქაურ სასულიერო თვით-მართველობას და მოესპო კაპუცინთა ბატონობა. ამნაირის ჩაგონებით პავლე ჯინიმუზაშვილს (შახყულიანს) გამოუცვალეს გული და ხასიათი. თავის კურთხევის (სომხის ტიპიკონზედ) და დაბრუნების შემდეგ ახალციხეში, მართლაც ხელთ იგდო სასულიერო მმართველობა და კაპუცინების ჯიბრზედ ყველა ქართველი კათოლიკე გამოაცხადა სომხის კათოლიკეთ. ეს არ იკმარეს სომხებმა და უნდოდათ, რომ საქმეთა მართვა სომხის ხელში ყოფილიყო და არა ქართველისაში.

ღმერთმაც უსმინა მათ და აღუსრულა ნატვრა.

მაისში საქართველოს ესტუმრა ტირასპოლის რომის კათოლიკეთა ეპისკოპოსი ბარონ დე-როპპი, რომელმაც აღუსრულა სომეხ-კათოლიკეთა მამათა დიდიხნის ნატვრა და დაჰნიშნა სრულიად კავკასიის სომეხთა-კათოლიკეთა არხიმადრიტათ ვენეტიკელი მღვდელ-მონაზონი საფარიანცი და ამიერ კავკასიის სომეხთ-კათოლიკეთა სასულიერო სამრევლოს უმფროსად ახალციხეში დაინიშნა ოზურგეთელი კალატოზიშვილი, აწ მღვდელ-მონაზონი კალატოზიანცი, აღზდილი ვენეტიკის წმ. ლაზარეს სომეხთა მონასტერში.

ასე და ამ ნაირად სომეხთა მამათ მთავართ აუსრულდათ 200 წლის ნატვრა; აწ ყველას შეუძლია გაიმეოროს „ვისაც მოველოდით, მოვიდა, აწ გულო, გამხიარულდი" მაშ იმე-

დია, დღის შემდეგ მიატოვებენ სომეხნი გოდებას და სომხები წერას, რომ სომხურს სდევნიან და ლათინურს ავრცელებენო. „მშაკში“ იყო ერთი ასეთი წერილი, ავტორს რომ სცოდნებოდა, თუ ეპისკოპოსი თავის მოსვლით სომეხთ-კათოლიკეთა მღვდლებს გაამბატონებდა. ახალციხის მხარეს, არ დასწერდა ამას, მაგრამ არ იცოდა. ან იქნებ იმიტომ დაბეჭდა ეს წერილი, რომ მით ლელო გაიტანა და ერთის დაკვრით ორი კურდღელი დაიჭირა ერთსა და იმავე დროს სომხის მღვდლები უმთროსად ინიშნებიან, ხოლო ტფილისში ინიშნება სომხის-კათოლიკეთა ეპისკოპოსიც.

უდელი.

რეხელი ქართველები ბორჩალოში.

(ეტნოგრაფიული შენიშვნები)

შემდეგი*)

3. ქალის დანიშნვა-გათხოვება.

რეხლებს რომ ღმერთი ქალიშვილს მისცემს, არა სწყინთ, რადგან, სანამ გაათხოვებენ, ამუშავებენ და გათხოვების დროსაც, დიდი ქებაა, რომ თავიანთ მხრივ ქალს დაახარჯონ ორი სამი თუმანი. რეხელი კაცი თვრამეტ წლამდე ქალიშვილს არ გაათხოვებს, თუ უნდა დიდი ვინმეც რომ თხოულობდეს. თვრამეტის წლის შემდეგ-კი გაჰბედავს მის გათხოვებას, თუ სასიძო და მისი ოჯახი ჭკუაში დაუჯდა. ქალის მათხოვარის მხრივ უნდა იყვნენ შუამავლები და არა ქალის პატრონისაგან. მაგრამ რა გამოვიდა? სანამ შუამავლები საქმეს დააბოლოვებენ და ქალის პატრონისაგან დასტურს აიღებენ, თავიანთი დაემართებათ. თითქმის ერთი წელიწადი და კიდევაც მეტი უნდა იარონ, რომ ქალის პატრონისაგან დასტური აიღონ; დასტურის დროს ყველაფერში მორიგდებიან. სასიძომ უეჭველად უნდა გამოუგზავნოს პირველად ბელგად ხუთ მანეთიანი ოქროს ფული და აბრეშუმის ბაღდადი ქალის მისართმევად, ოთხი-ხუთი თუნგი არაყი და ერთი მოზდილი ხურჯინი სავსე სხვა-და-სხვა სანოვაგითა და მსუქანი, ორი-სამის წლის მოვლილი საკლავი ყოჩი და სხ... მერმე უნდა გამოჰგზავნოს, რამდენისამე თვის შემდეგ ნიშანი, ყოვლად კარგი და არა მდარე რამ: ორი ხელი თავით-ფეხამდე მესამოსი ქალისა, ერთი ხელი ლოგინის პირები, სათითაოდ ყველასათვის, ვინც კი რომ ქალიანთ ოჯახშია, ხარაზის ჩუსტები, ექვსი—რვა თუნგი არაყი. ერთი, ან ორი ხურჯინი გაწყობილი ნამცხვარით და სანოვაგით, ერთი, ან ორი მოვლილი ყოჩი და სხ... ნიშანს შემდეგ, ბოლოს სასიძომ უნდა ძალიან თავი ისახელოს და საქორწილოდ, საკლავია, თუ სასმელი და ნამცხვარი, უხვად და ბლომად, წინა დღით მოუგზავნოს...

ბელგას რომ მოიტანენ, სასიძოს მხრივ ათ კაცზედ ნაკლებ არ მოვლენ ქალიანთსა: ერთი სასიძოს მამა უნდა იყოს, ან არა და უფროსი ძმა, დანარჩენები-კი—ნათესავნი სასიძოსი. საწყალი სასიძო-კი თავის სახლში რჩება ბელგის გაგზავნის დროსა და მოწვეულებს უმასპინძლდება გაგზავნილების მობრუნებამდე. ქალის პატრონი გაუმასპინძლდება მოსულ ახალ მოყვრებსა, ბელგას ჩამოართმევს და გადასცემს გასათხოვარ ქალსა სხვა კაცის, ან ქალის ხელით. მერმე შემოიყვანენ თვით ქალს სიმღერით სასიძოს მხრივ მოსულნი; ახედ-დახედავენ ქალს, თუნდაც ასჯერაც ჰყავდეთ ნანახი და ყველანი თითო მანეთს აჩუქებენ პირის სანახავს. ცოტა ხანს კიდევ დარჩებიან ქალის შემოყვანის შემდეგ მოსული მოყვრები და, როგორც შეატყობენ, ჩვენი მოტანილი სასმელი ილევაო, აიშლებიან და წასვლას დააპირებენ. ქალის პატრონსა და რამდენსამე იმის ნათესავს დაჰპატიჟებენ და ყველანი ერთად წამოვლენ სასიძოს სახლში. აქ ამათ მოწვეულნი, თუ შინაურები დიდის ამბით და სიხარულ-მოლოცვით დახვდებიან: გაჰმართავენ ახალი მოყვრები ერთმანერთში კოცნასა და ოხუნჯობას, შემდეგ დასხდებიან და ჩაის სმას შეუდგებიან. ცოტა ხნის შემდეგ, სასიძოს ყმაწვილ-კაცები სიმღერით შემოიყვანენ და სასიმამროს წინ დაუყენებენ. ასტყდება მილოცვა და სიმღერა. სასიძო დაიჩოქებს სასიმამროს წინ და ხელზედ აკოცებს. ისიც, თავის მხრივ პირზედ აკოცებს და სახლიდან წამოღებულ ბაღდადს ყელზედ მოახვევს; შემდეგ, როცა ჩაის სმა ჩამოთავდება, გაიმართება პურის ჭამა და ზომიერი არყის სმა. ხალხის თავმდგომად და მოსამსახურედ არის ახალი სასიძო. კაი ხანი როცა გაივლის და ხალხსაც მოსწყინდება ფეხმოკეცით ჯდომა-ოხუნჯობა, აიშლებიან და დიდის ამბით ყველანი წავლენ თავ თავიანთ სახლებში...

ნიშნის მიტანამდე მოყვრები კაი დღეებში ერთი ერთი ერთმანეთს ჰპატიჟობენ, ათი-ოცი კაცითა. საპატარძლო ემსახურება თავისიანებსა და ქმრისეულებსა. ყოველ მოსვლის დროს მისი მნახველები ფულს აჩუქებენ. საპატარძლოს ბლომად საჩუქარი მეტადრე მაშინ უგროვდება, როცა ორთავ მხრიდამ ბლომადაა მოწვეული ხალხი, პურის ჭამის შემდგომად ყველას თვალწინ სათითაოდ თავს დაჰკრავს, ჩითის ხელსახოცით თავს შეუხვევს და წელს, თავის ხელით მოქსოვილ წინდებს იღლიაში ამოუდებს. ამ შემთხვევაში თავ დაბანილებისაგან საჩუქრად საპატარძლო მიიღებს—სულ ცოტა—ორ თუმნამდე...

ნიშნის მიტანაზედაც ასე იქცევიან და დროს ატარებენ ისე, როგორც ბელგის მოტანის დროსა; საპატარძლოს ასაჩუქრებენ მოსულნი, სჭამენ, სმენ, ოხუნჯობენ-მღერიან ვაჟისა და ქალის მონათესავენი.

ჯვარის წერის დადებული ვადა რომ მოახლოვდება, ორთავე მხარეს დიდი ფაც-ფუცი შეუდგება. საპატარძლოს წინადღით, ახლო მონათესავე ქალი გაიპატიჟებს თავის სახლში, მთელის სოფლის გასათხოვარ და დანიშნულ ქალებს მოიწვევს და მეფის მოსვლამდის საპატარძლოს ართობენ: თამაშობით, სიმღერით, თუ სხვა რამით; მეფის მხრიდან პირველად მოვა მახარობელი, რომელსაც ყაბალახში აქვს ერთი მთელი ქადა და ბოთლი არაყი. სახარობელს გადაახუხვენებენ რამდენსამე ჭიქა არაყსა და ერთ რამ მაურიან ხელსახოცით მკლავს შეუხვევენ. სოფელში რომ გავარდება ხმა, მეფის მახარობლის მოსვლისა, ყველანი, დიდ-პატარამდე, მოიყრიან საპატარძლოს ოჯახის ბანზედ თავსა და ქორწილის ხალხის მოსვლას ელიან. როგორც გამოჩნდება მეფე თავის მაყრებით, მაშინათვე რეხელი მეზურნეები გაჩნდებიან, წინ მიეგებებიან და ზურნის დაკვრით საპატარძლოს ოჯახში მოიყვანენ. მეფიანი, როგორც-კი უნდა შევიდნენ ოჯახში, დაინახავენ რომ სახლში შესასვლელი კარები შიგნიდამ ჩაკეტილია; ბევრს აირახუნებენ და უძახიან, კარები გაგვიღეთო, მაგრამ კარები ისევ დაკეტილია. შიგნიდან გამოიძახის ერთი, ფაფახის ფულს ჩამოდით და მერმე გაგიღებთ კარსაო.. მეფიანნი ეუბნებიან, კარი გაგვიღე, მოგცემთო, სიცივით ნუ დაგვხოცეო და სხ... მაგრამ შიგნიდან კაცი გამოსძახის გინდა დაიხოცენით გინდათ ნუ, მე რა მენაღვლებაო; თუ შემოსვლა გინდათ ბანის სანათურიდამ ხუთ მანეთიანი ოქროს ფული, ან კაი ყალმუხის ტყავის ფაფახი (ქუდი) ჩამოგდეთ და მაშინ გაგიღებთ კარსაო. რას იზამენ, ან ერთი ან მეორე უეჭველად უნდა ჩაუგდონ ბანიდამა. კარის ჩამკეტიც მაშინ უღებს კარებსა, მეფიანთ სახლში შეუძღვება. ცოტა ხანს დასხდებიან მეფიანი, თითო—ოროლა არაყს გადაჰკრავენ, ისევ წამოდგებიან და, სადაც საპატარძლოა, იქ წავლენ ზურნის დაკვრით. შევლენ თუ არა სახლში, ყმაწვილი ქალები ფერხულს დაიაბამენ და საპატარძლოს შუაში ჩაიყენებენ. უნდა მეფემ ერთი-ან ორი მანეთი მისცეს მასპინძელ ქალსა, რომ საპატარძლო დაანებონ. მეფე დაიხსნის თუ არა თავის საცოლოს, ხელს მოჰკიდებს და მხარში ამოუდგება. ქალები ჩაშლიან ფერხულს და სახლის ერთ კუნჭულში მიდგებიან. მეფიანი თითო ჭიქა არაყს ფეხზედ დგომით დალევენ და სიმღერით და ზურნის დაკვრით წამოიყვანენ ქალს თავის სახლში. ორი კაცი ამოღებულ ხანჯლებით მეფე-დედოფალს ახლოს მოსდევენ უკან. გარშემო შემოხვეული ჭრელ ყმაწვილი ქალები და სეირის მაყურებელი ხალხი. როგორც-კი შევლენ მეფიანი სახლის კარებზედ, არაყის ბოთლით და ჭიქით ხელში დაუხვდება მოხუცი კაცი, პირველად თითონ დალოცავს სამეფოსა და საპატარძლოს და გადაჰკრავს არაყს, შემდეგ გადასცემს სხვებსა და ისინიც გულიანად იღოცებიან. ამ დროს ბანზე მაყურებელთ დაღდალი გააქვთ, ზოგნი აქებენ მეფეს და მის მოყოლილებს, ზოგნი აძაგებენ და ზოგნი რას ამბობენ და ზოგნი რასა. არაყის ბოთლი რომ დაიცლება მხოლოდ მაშინ შევლენ სახლში. სამეფო, მისი მოყვრები და მასპინძლის მხრივ დაპატიჟებულნი ერთს დიდ ოთახში დასხდებიან და საპატარძლო-კი თავიანთ გააქრობენ ოჯახში მყოფნი ქალები. კაცები ხან მღერიან, ხან საუბრობენ, ხან ოხუნჯობენ, და ხან ძნელ გამოსაცნობ გამოცანებს ამბობენ. მასპინძელი პირველად ჩაის მოართმევს; ჩაი რომ ჩამოთავდება, მერმე საჭმელ—სასმელით გაუმასპინძლდება და შუადამემდის დროს ატარებენ; შუადამის შემდეგ დაპატიჟებულნი წავლენ თავიანთ ოჯახებში და მეფიანი-კი შინ დარჩებიან. ამათაც მასპინძელი მოუმზადებს საწოლსა და, როგორც მეფიანი, ისე მთელი ოჯახი ძილს მისცემენ თავს. გათენდება თუ არა, ყველანი ფეხზედ წამოდგებიან მასპინძლიანნიც და მეფიანნიც. მღვდელს შეატყობინებენ და თვითონ მეფიანი, აურებელ მაყურებელ ხალხით, უზმოდ, ზურნის კვრით და სიმღერით გასწევენ ეკკლესიისაკენ; მოძღვარი, ქრისტიანულ წესისამებრ, ვაჟს და ქალს ჯვარს დასწერს. ჯვარისწერის შემდგომ გამობრუნდებიან უკან და მოვლენ ისევ ქალიანთ ოჯახში. დასხდებიან მეფიანიც და მოწვეული სტუმარნიც, ქალს მარჯვნივ მეფე მოუჯდება და მარცხნივ-კი მეჯვარე. მასპინძელი საჭმელ-სასმელით უხვად და წესიერად გაუმასპინძლდება. ორ ან ერთ საათის შემდეგ სუფრა ალაგდება. ხმა-მაღლად და მოხერხებულ დაპარაკის მცოდნე კაცი ქალიანთ მხრივ ფეხზედ წამოდგება, ხელში ჭიქით არაყი უჭირავს და იღოცება: რა ხატისა, რა წმიდანების მადლს არ ახსენებს ეს ენა მეტყველი კაცი! როცა სათქმელი შემოელევა და უთქმელი აღარაფერი დარჩება, გადაჰკრავს არაყსა და დაიძახებს: აბა, ეხლა-კი მომიტანეთ მზითევი, ისეთი კი უნდა იყოს, რომ მეფის მხარე არ დაგვცინდეროს და მადრიელნი დარჩნენო. მაშინვე მოუტანენ და ახლოს დაუწყობენ სამზითვო რაგინდარას, ენა-მეტყველი სათითაოდ იღებს ხელში ნივთებს, ხალხს უჩვენებს და ამბობს: ეს ერთი, კარგი საბანი, ეს ლოშაკი, ორი მატყლის ბალიში, ერთი მუთაქა, ერთი ხალიჩა, ერთი ფარდაგი, ერთი ყვავილებიანი ქება, ერთი ვება ზანდუკი, რომ მეფე-პატარძალი ჩაეტევიან შიგა, პატარა ხელის უთი, რაც რამ ბელგის მიცემიდან აქნობამდისინ ქალს საჩუქარი აუღია, იმ ფულითაა პირამდე გაწყობილი, ეს ესა და ისაო და სხ.. მზითევი რომ ჩამოთავდება, წინ წამოდგებიან ქალის მონათესავენი. და ენა მეტყველს აწვდიან ხელში ზოგი შესაკერ ერთს საკაბესა და ზოგიც თავზედ მოსახვევ ბაღდადებსა. ისიც ოხუნჯურის კილოთი იძახის; ეს აბრეშუმის საკაბე, თუნდაც სულ უპრალო, უკანასკნელი ჩითი იყოს, მოართვა ამა და ამ ნათესავმა ქალმა, ეს იმან მოართო და ეს ამანაო; მერმედ ამ ნაირადვე დაიწყობს ბაღდადების ამბავს, როცა ყოველივე ნივთი ჩამოთავდება. თამადა გადააკვრევინებს გასამრჯელოში ერთ ჭიქა არაყსა. დალევის შემდეგ დაღლილ-დაქანცული ენა-მოქარგული კაცი დაჯდება თავის წინანდელ ადგილსა. ყველაფერს, რაც რამ დანაძახები იყო; ორ თანაბარ ბოღჩად შეჰკრავენ და შეკრულს მზითევს ქალის დედა გადაეფარფარება ზედა, სიძემ ფული მომცესო. თუ სიძემ სიდედრს შუბლზედ ხუთ მანეთიანი არ მიაკრა, მზითევს არ დაანებებს. ახლა-კი ყველანი წამოიშლებიან სუფრიდამ და საპალნის ცხენს საჩქაროდ ჰკიდებენ მზითევსა. ქალს მოამზადებენ წასასვლელად. ოჯახში ერთი აღიაქოთი ასტყდება. ზოგნი ემშვიდობებიან პატარძალსა, ზოგნი ტირიან და პატარძალიცა სტირის.—ზოგნი ილოცებიან და სხვა... შესხდებიან მეფე, პატარძალი და მაყრები ცხენზედა, ერთის ფეხის გადადგმა რომ იყოს მეფის სახლამდისინა, მაინც ცხენებზედ უნდა შესხდნენ, მაყრები დაიწყებენ სიმღერა-კიჟინს და გაჰქრებიან ახალი პატარძლით. მხოლოდ პატარძალს ორი თავისიანი კაცი მისდევს ქმრის ოჯახში.

ასე ამ გვარად ათხოვებენ რეხელები ქალსა. თვით რეხაში გაათხოვებენ თუ სხვაგან, ამათთვისინ სულ ერთია, თავიანთ წესს არ დაარღვევენ. მხოლოდ სხვა სოფელში რომ გაათხოვებენ ქალსა, ვაჟის მხრიდამ ხშირად არ ეწვევიან ქალის პატრონსა, ისე როგორც თვით რეხელი ორთავ ახალი მოყვრები ერთმანეთსა. ერთის წლის შემდეგ, დღესასწაულ დღეებში მოიწვევენ თავიანთ ახლად გათხოვილს ქალსა დედ-მამის ოჯახში და ეს არის და ესა, ამით თავდება ყოველივე....

(შემდეგი იქნება)

ჩვენებური ამბები

დუშეთი. ქ. დუშეთი, როგორც იქნება მკითხველსაც მოეხსენება, მაზრის დედაქალაქია. დუშეთში 5,008 კომლამდე მცხოვრებია. არსებობს თვით მართველობა. ყველა სამაზრო დაწესებულებანი თავმოყრილია ერთად: მაზრის უფროსის კანცელარია, ხაზინა, ფოსტა, მომრიგებელი მოსამართლე, მომრიგებელი შუა კაცი, ბოქაული და ბაზალეთის საზოგადოების კანცელარია და სხვანი.

როგორც ატყობთ, ბევრი დაწესებულებანი არის დუშეთში თავის „ჩინოვნიკებით“; ზოგიერთი უმაღლესის სწავლით არის აღჭურვილი, მაგრამ ცხოვრება უკან თუ მიდის აქ, თორემ წინსვლა არაფერში ეტყობა. მცხოვრებლების უმეტესი ნაწილი ძალიან სიღარიბეშია, ისეთ მინგრეულ მონგრეულ სახლებში დგანან, რომ კაცს პირველ შესვლაზე შეეშინდება. აქაურ სამიკიტნოების სიბინძურეს ნუღარ იტყვით. აქაური დუქან-სამიკიტნოები შიგ შუაგულ ქალაქში ისე არის მოწყობილი, რომ უსათუოდ უკან თავლაც აქვსთ ცხენების დასაბმელად და, თუ ორ თვეში ერთხელ გამოგავეს, ისიც კარგი ღვთის წყალობა არის. აუტანელი სუნი სდგას ყოველთვის და კაცს არც-კი შეესვლება. აქ ერთი ხეირიანი სასტუმრო არ მოიძებნება, რომ კაცმა სუფთად ერთი ღამე გაატაროს. აქაური მედუქნეები არ დაგიდევენ არც სისუფთავეს და არც ქუჩების შეკეთებას. რაც რომ მოხვდებათ დამპალ დუმპალს ყიდულობენ ტფილისში და აქ მამასისხლად ჰყიდიან.

აქაურ მცხოვრებელს ხელს უწყობს მხოლოდ მშვენიერი ბუნება და ჰაერი; აქ ბევრია კარგი ყველი, ერბო და რძე, ძალიან იაფადაც იყიდება.

მას აქეთ, რაც თვითმართველობა შემოუღიათ დუშეთში, არავის ახსოვს ქალაქს მოურავად, ინტელიგენტი ჰყოლოდეს. ხან ჩარჩებს ან გასუქებულ მიკიტნებს ირჩევდენ ქალაქის მეთაურად, ხან „ოტსტავკაში“ გამოსულ ლონე მიხდილ „ჩინოვნიკებს“, რომლებიც თავის ჯიბისკენ უფრო იცქირებოდენ, ვიდრე ქალაქის ინტერესი და სარგებლობა ჰქონდეთ ფიქრად.

ქალაქის შემოსავალი არაფრით არ მატულობს და ხანდახან კიდევაც კლებულობსო, —მითხრა ერთმა დეპუტატმა. შემოსავალი შარშან, 1902 წელს, დუშეთს ჰქონდა 3,884 მან. 9 კაპ. ხარჯი 3,684 მან. 50 კ. აქედან 100 მანეთი ალექსანდრე როინაშვილისაგან დაარსებულ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს ეძლეოდა. ეხლა ესეც მოუსპო ქალაქის თავმა, რის გამოც გაზეთები ორის მეტი ველარ გამოიწერა სამკითხველოს მმართველმა და შემდეგში ერთის გამოწერის ფული არ ექნება, და სამკითხველოს ჩამონაგლეჯი ფული გადამწერელს ჯამაგირად მოუმატა და ის აღარ აკმარა, რასაც წინანდელი უფრო წვრილშვილი კაცი იღებდა 400 მ. ერთ მასწავლებელს ეძლევა ჯამაგირად აქაურ სასწავლებელში; 120 მანეთი ერთს სტიპენდიანტს ამავე სასწავლებელში; დანარჩენი ფული იხარჯება ქალაქის კანცელარიისა და მათის მოხელეების შესანახად და ოთხი პოლიციელის ჯამაგირად. ამათში ერთი უბნის მეთვალყურეა და სამი „გოროდოვოი“.

ამ სახით სწავლა-განათლებისთვის დუშეთი ჰხარჯავს მხოლოდ 520 მანათს და, როდესაც მთავრობა ხელს უწვდის, მოდი ფული წაიღე სამოქალაქო სასწავლებლად გადააკეთე შენი ორ-კლასიანი სასწავლებელიო, მისი მამები ცივს უარს სტკეცენ ხოლმე.

შარშან მთავრობამ 3.500 მ. გადასდო დუშეთში სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელთა შესანახად, იმ პირობით, რომ ქალაქს სახლი ეშოვა და ამაზედაც უარი უთხრეს. მხოლოდ ამას წინად რომ გაიგეს ის ფული სხვას მიაქვსო, დაფაცურდნენ ზოგიერთები და თითქმის ძალათი მოაწერინეს ხელი და თხოვნა გაგზავნეს სადაც ჯერ არს, მოგვცემთ სადგომს, ოღონდ სამოქალაქო სასწავლებელი დაგვიარსეთო და, ვნახოთ, რა იქნება!

„თიონეთისა და დუშეთის სასწავლებლებში“ სულ 140 ყმაწვილი სწავლობს: ზოგმა წელს კიდეც დაასრულა კურსი. სამი მასწავლებელი ჰყავს და ერთი ზედამხედველი, სულ ხუთნი არიან სომხის ენისა და სამღვთო სჯულის მასწავლებლიანათა. მოსწავლეთა შორის ქართველები მეტია. მაგრამ სასურველად ვერ სწარმოებს ქართულ ენის სწავლება. ასწავლის მოძღვარი, რომელსაც თურმე ბევრი საქმე აქვს და ვერ იცლის, თუმცა

---

*) იხ. „ივერია“, № 142.

ფელეტონი

ქართველები რუსეთში.

ისტორიული მასალა.

(ვუძღვნი იმერეთის ეპისკოპოზს ლეონიდეს).

I

საქართველო დიდის ხნით ემზადებოდა რუსეთის ქვეშევრდომობას; ამ განძრახვის განხორციელებას უფრო ხელს უწყობდა გარეშე მტრების შემოსევა და საქართველოს აკლება. რამდენისამე საუკუნის განმავლობაში არ შესვენებულა ქართველის კაცის მაჯა, არ დამცხრალა მისი გონება, აზრი და მოქმედება. სულ ომში და თავის დაცვაში იყო. დღე არ იყო მისთვის მოსვენება და ღამე. ერთის მხრივ მონგოლები, თემურ-ლენგი და თათრები, მეორეს მხრივ—ლეკები და სპარსელები მოსვენებას არ აძლევდნენ, ჰკლეტდნენ და ხოცავდნენ ქართველებს.

მეთხუთმეტე საუკუნეში საქართველო სამ სამეფოდ გაიყო და ხუთ პატარ-პატარა სამთავროდ. თვითოეული მეფე და მთავარიც თავისთვის სცხოვრობდა, თავისთვის ჰფიქრობდა, მხოლოდ თავის ბედნიერებას ეძებდა. ამ გვარმა დანაწილებამ და მარტო თავის თავისთვის ფიქრმა და ზრუნვამ, საუბედუროდ, ძრიელ ცუდათ იმოქმედა საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზედ. ამ გვარმა დაკნინებამ და დანაწილებამ თან-და-თან დაასუსტა ქვეყანა და ეს სისუსტე გონიერად გამოიყენა ერთის მხრივ სპარსეთმა და მეორეს მხრივ—ოსმალეთმა.

გაჭირვების დროს ქართველი მეფეები ხშირად რუსეთს მიაშურებდნენ ხოლმე, როგორც უფრო ახლო სახელმწიფოს და შველას სთხოვდნენ.. ეს სპარსეთმა და ოსმალეთმა ძლიერ კარგად იცოდა და ყოველს ღონისძიებას ჰხმარობდნენ, ქართველების ამ გვარი მსვლელობა რუსეთში მოესპოთ. ამ სურვილის განსახორციელებლად ხშირად ათათრებდნენ ქართველებს, ასახლებდნენ თავიანთ ქვეყნიდან და მათ მაგიერ სპარსელები და ოსმალები გადმოჰყავდათ. ერთის სიტყვით, რაც შეეძლოთ, ავიწროებდნენ ქართველებს.

ამ დროს კახეთის მეფედ იყო ირაკლი I, რომელიც ყეენს არაფრად მოსწონდა; ერთხელ მიიწვია იგი სპარსეთში და დააპატიმრა. მის მაგიერ კახეთში დასვა მეფეთ ძე მისი დავით III (იმამ ყული ხანი). რადგან დავით სპარსეთში იყო აღზრდილი მაჰმადის რჯულზე, ამისთვის, როგორც ჭეშმარიტს მაჰმადიანს სძულდა თავის ქვეშევრდომების სარწმუნოება და სცდილობდა კიდეც კახეთის სრულად გამაჰმადიანებას, მაგრამ როდესაც დაინახა კახელების თვისდამი ერთგულება და როდესაც გაიცნო და დაუახლოვდა ქართლის მეფეს, ღვთის მოყვარე ვახტანგს, დავითი სრულიად გამოიცვალა. მანამდე მაჰმადიანობის მოტრფიალე, ახლა ქრისტიანობისა და სამღვდელოების მფარველი შეიქმნა.

როდესაც ქართლ-კახეთი ლეკთაგან იყო შეწუხებული ვახტანგი სპარსეთში იმყოფებოდა, რადგან ყეენი მეფობას არ აძლევდა მაჰმადიანობის მიუღებლობის გამო. ვახტანგი იძულებული შეიქნა გარეგნობით მიეღო მაჰმადიანობა. მიიღო და 1719 წ. იგი ქართლის მეფედ იქნა გამოცხადებული.

მოსვლისათანავე ქართლში ვახტანგმა ჯერ მოწინაამღდეგე ერისთავები დაიმორჩილა და შემდეგ კახეთის მეფის შემწეობით უნდოდა ლეკების დამშვიდება, მაგრამ ამ დროს კახეთის მეფე გარდაიცვალა და ეს კეთილად დაწყებული საქმე სულ ჩაიშალა. კახეთში გამეფდა კონსტანტინე II, მაჰმად ყული ხანი და იმერეთში ალექსანდრე V (1722—1752) 1722 წ. რუსებმა დაიპყრეს კასპიის ზღვის ნაპირები, რომლებიც ეკუთვნოდა სპარსელებს. ამ საქმეში ყეენმა ქართლ-კახეთის მეფეები გაამტყუნა, ამისთვის ყეენის ბრძანებით, კახეთის მეფემ კონსტანტინე მე II წაართვა ქართლი ვახტანგსა და თვითონ დაიპყრა. ვახტანგ VI-მ ვერ აიტანა ამ გვარი დამცირება და მრავალი სასულიერო და საერო კაცითა და მხლებლებით გადასახლდა რუსეთს.

მეფე ვახტანგი, სანამ რუსეთში წასვლას გარდასწყვეტდა, დიდს ხანს იმალებოდა იმერეთში და იქიდგან ადევნებდა თვალყურს თავის სამეფოს მდგომარეობას; მაგრამ, რაც დრო მიდიოდა, უფრო და უფრო ირევოდა მისის სამეფოს საქმეები. ბოლოს სამეფოს დაბრუნების იმედიც დაეკარგა და სრულებით იმედ-დაკარგულმა გადასწყვიტა რუსეთში წასულიყო. წასვლის წინ მეფემ მისწერა მაშინდელ ასტრახანის გუბერნატორს ვოლინსკის, ნება მომეცით ასტრახანში მოსვლისა და მანდ დროებით დაბინავებისაო. ვოლინსკიმ ეს თხოვნა ხელმწიფეს მოახსენა 17 სეკდ. 1723 წ. და, ხელმწიფის ნებაყოფლობით აცნობა მეფეს, ნება გაქვს შენის ამალით გადმოსახლდე საქართველოდგან და დროებით დაბინავდე ასტარხანშიო. ხელმწიფეს სურვილი იყო, რომ საქართველოს მეფე ვახტანგი წმ. ჯვრის ციხეში დარჩენილიყო საცხოვრებლად, რომელიც სამზღვარზედ იყო აგებული და ქალაქს დაშორებული, მაგრამ, როდესაც მეფე ვახტანგის დამ, ეკატერინე დავითის ასულმა, იმერეთის მეფის არჩილის მეუღლემ, აცნობა ხელმწიფეს დაწვრილებით, თუ რა სიღარიბეში იყო ამ დროს მეფე ვახტანგი. ხელმწიფემ გაჰგზავნა ვახტანგთან თავადი ფრანგისტან თურქესტანოვი და დავით ნაზაროვი, თან აცნობა, რომ სრული ნება გაქვს რუსეთში გადმოხვიდე და, სადაც გსურს, იცხოვროვო.

1724 წ. ივნისის თვეში ორი თავადი, თურქესტანოვი და ნაზაროვი წავიდნენ მეფე ვახტანგთან და თან წაიღეს გენერალ-მაიორ კროპოტოვის სახელზედ დაწერილი ბრძანება, რომელშიც დაწვრილებით იყო მოხსენებული, თუ რანაირად მიეღოთ მეფე ვახტანგი წმ. ჯვრის ციხეში, ანუ თერკში და ან რანაირად ეცათ პატივი მისთვის. ამავე დროს ნაბრძანები ჰქონდა სენატსაც, გაეგზავნა საჩქაროდ მეფე ვახტანგის მისაღებად დანიშნული ფული, რაიცა სენატმა მსწრაფლ აღასრულა. 5 ივნისს მისცა ბრძანება ასტრახანის გუბერნატორს ვოლინსკის და დაავალა, რომ ყველაფერი, რაც ბრძანებაშია მოხსენებული, შეუცვლელად აღასრულეო. ვახტანგმა მიიღო თუ არა ამ ბრძანებასთან ერთად ფული, გაემზადა და წავიდა რუსეთს. ვახტანგ მეფე 1724 წ. 8 ნოემბერს მივიდა ასტრახანში და დროებით იქ შეჩერდა. მეფეს ჰსურდა შეეტყო ამ ქვეყნის ავ-კარგი, რუსთა მკვიდრთა მათდამი პატივისცემა და მრავალნი ადგილობრივი გარემოებანი.

მეფესთან მრავალი მხლებლები მიჰყვნენ. მეფის მხლებელთა შორის ბევრნი ბრწყინვალე გვარეულობისანიც იყვნენ. როგორც მაგალითად: კათალიკოსი ქრისტეფორე; ტფილისელი მიტროპოლიტი პავლე და ოთხი ეპისკოპოზი: რუისის ეპარქიისა—ნიკოლოზ მროველი, მანგლისისა—არსენი მანგლელი, ეპისკოპოზი იოანნე და ურბნისისა—ნიკოლოზ ურბნელი. ამათ გარდა მეფეს ახლდნენ მრავალნი არქიმანდრიტნი, მღვდელ-მონაზონნი, მთავარნი და მედავითნენი სულ 145 კაცამდე. ეს მარტო სასულიერონი, საე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯამაგირს რიგიანს იღებს მთავრობისაგან, როგორც ქართულის ენის სწავლებაში, ისე სამღთო სჯულისაში. მაგალითად, წელს სასწავლებლის საბჭომ გადასწყვიტა: რადგან არც ერთმა შეგირდმა არაფერი არ იცის ქართულსა და სამღვთო სჯულში, ნურც ერთ ყმაწვილს ნუ დავსტოვებთ იმავე კლასშიო ამ საგნების ცუდად ცოდნისათვისაო. რომ მართლა არ იტკივებს თავს მ. მოძღვარი ეს ბ-ნ დირექტორის რევიზიამაც დაამტკიცა. ამას წინად აქ ბ-ნი დიმიტრიევი იყო, რომელმაც სხვათა შორის კითხა ერთ შეგირდს, ზეპირად სთქვი ლოცვაო; ყმაწვილმა დაიწყო „Отче нашъ“, ეგევე ქართულადა სთქვიო. შეგირდმა უპასუხა: არ ვიციო. არ გვისწავლიაო, უპასუხეს სხვებმა. „Не обязаны“. ღიმილით მოახსენა სამღვთო სჯულის მასწავლებელმა. „Какъ не обязаны, батюшка! за что Вы жалованіе полоучаете? мы должны стараться приблизиться къ Богу‘ а не не понимать Его“. და დირექტორმა გვარიანად შეამკო ქართველი მღვდელი. მოძღვარმა იმითი დაიწყო მერე თავის მართლება, რომ ბევრი საქმეები მაქვს, ამ წელიწადში ვერ მოვასწარიო; და მართლადაც თუ ბევრი საქმე აქვს, მაგ დილოცვილს, აიღოს და თავი დაანებოს, ისე როგორც სომხის ტერტერა მოიქცა, და ისევ იქაური მასწავლებელნი, რომელთაც ცოდნაც აქვთ, ხალისიც და ჯამაგირსაც არ დაიწუნებენ, ისინი ასწავლიან ქართულსაც და სამღვთო-რჯულსაც.

უკეთეს მდგომარეობაში არც ჩვენი საქალებო სკოლა არის. სკოლის ადგილი სულ ერთიანად წაართვეს და შიგ ფანჯრებზედ ლობე მოუდგეს. პატარა და დიდი ქალები წინად რაც სწავლობდა, იმდენი აღარ არის და ენკენისთვიდგან აღარც მისი ნახევარი იქნებაო, ამბობს მწუხარებით მისი მმართველი, რადგან რაღაც „მავნე სულმა“ დაიბუდა შიგ და ვერც ერთი მასწავლებელი ვერა ძლებს ამ სკოლაში და გარბიან. შეგირდი ქალებიც თავს ანებებენ სკოლას. ეხლა ერთი მასწავლებელი ქალი გვყავს და ისიც აღარ მოვა ენკენისთვიდგან და ერთი მასწავლებელი კაცი დაგვრჩება, რომელსაც ჩვენს შვილებს არ არ მივაბარებთო.

ის ყორე, რომელიც ბ-ნმა აბშარუმოვმა გარ შემოავლო თავის სახლს და არაგვის ერისთავების აშენებულის ციხის კედლებს მოანგრია, უკანასკნელმა ნიაღვარმა სულ ერთიანად წალეკა..

ითხვისელი.

სოფ. აბაშა (ქუთაისის მაზრა). ეს სოფელი მდებარეობს გურიის საზღვარზედ და, თუ გურიისაგან განცალკევებულია, იმიტომ რომ შუაში ჩამოუდის მდინარე ხევის წყალი. ამ სოფელს სამხრეთით უძევს სოფ. გორ მაღალი და სწორედ ამ სოფლზედ გაივლის ხსენებული მდინარე. აი ამ მდინარეს მიანდვეს მცხოვრებთა გაყოფა და ისიც საუცხოვოდ ასრულებს თავის მოვალეობას: ხან სწორე კალაპოტში მიმდინარეობს და ხან გადავარდება წყალ დიდობის დროს თავის კალაპოტიდგან და სხვა ახალ კალაპოტს იკეთებს; რამდენსამე დღიურს სახნავ მიწას ხან შიგნით მოიტოვებს ხოლმე და ხან კიდევ გულუხვობას იჩენს და გაღმელებს (კალოგანელებს) აძლევს კაი ძალ მიწას. ამის გამო ამ ადგილების შესახებ ხშირად იჩენს ხოლმე თავს დაუსრულებელი დავა და სასამართლომდინაც არ მიდიან; ხანდახან თვითონვე ან კეტით და ან ცულ-ხანჯლებით გაუსწორდებიან ხოლმე ერთმანეთს.

ამ გაზაფხულზედ აბაშის სამინისტრო სკოლა სარევიზიოდ ინახულა სახალხო სკოლების ინსპექტორმა ბ ნმა მაჭავარიანმა. დათვალიერების შემდეგ მადლობა გამოუცხადა სკოლის მასწავლებელს ბ-ნ გეგუჩაძეს მოსწავლეთა კარგად ხელმძღვანელობისათვის და ურჩია ხალხს სკოლის ორ-კლასიანად გადაკეთება, თუ მცხოვრებნი ცოტაოდენს ხარჯს იკისრებდნენ; ამასთანავე აუხსნა, რომ ხაზინა შემოგეწევათ სამ წილს მთელის ხარჯისასაო. შეიქმნა ამაზედ ერთი ყვირილი და განგაში; ზოგი თანახმა იყო, ზოგი კი არა. ჯერაც გადაუწყვეტელია ეს საქმე და ვინ იცის, გადაწყდება თუ არა. კარგი კი იქნება, რომ მცხოვრებნი ყურიდგან ბამბას გამოიღებდნენ და შეიგნებდნენ, თუ რა მნიშვნელობა აქვს სწავლა-აღზრდას ხალხის ეკონომიურ და კულტურულ კეთილ დღეობისათვის; ამ ჟამად ამ სკოლაში ბავშვების მიღება კენჭის ყრით არის. ყოველ წელიწადს სწავლის მსურველ ბავშვთა 90% სკოლის გარედ რჩება.

ამ დღეებში ჩვენი სოფლის მთავრობა ერთმა იშვიათმა გარემოებამ მეტად აღელვა. საქმე იმაშია, რომ ერთ ვიღაც „ბრიყვს“ ადამიანს გაუბედნია და ჩვენის სოფლის ავკარგს შეჰხებია გაზ. „კვალის“ ფურცლებზედ. შეჰხებია, სხვათა შორის, გაკვრით სოფლის მამასახლისის მოქმედებასაც და მისნი „საქმენი საგმირონი“ ოდნავ გამოუმზეურებია. ვიმეორებ, ოდნავ-მეთქი, მაგრამ ამ „ოდნავსაც“ დიდი მნიშვნელობა ჰქონია იმის თვალში, ვისაც რამე ესმის. როგორც გადმოგვცეს, მისდგნენ თურმე კორესპონდენტის მშობლებს და დაუწყეს ყვირილი: „როგორ თუ შენმა შვილმა, რომელსაც მე „ბაშფორთს“ ვაძლევ, გაბედა და გაზეთში გამლანძღაო. მე თქვენ გაჩვენებთ, გასწავლით ჭკუასაო. აბა, ნახავთ, ამის შემდეგ თუ ერთ აბაშელს „ბაშფორთი“ მიცეო. იმის მაგივრად, რომ სამშობლო სოფელი აქოს, რაც უნდა ცუდი იყოს, მისდგომია და ჰლანძღავსო“.

სოფლის სრული ბატონ-პატრონი, რასაკვირველია, სოფლის მოხელეები არიან, მაგრამ, თუ მართალი გამოდგა ის ამბავი, რომ პასპორტს აღარავის მისცემს მამასახლისიო, სჩანს, არა ხუმრობენ! რასაკვირველია, თუ შესაფერი მიზეზი აღმოუჩნდა პასპორტის მსურველს, სოფლის მთავრობა პასპორტს არ მისცემს, მაგრამ უმიზეზოდ-კი ვერავინ ვერ დაუჭერს პასპორტს, თუნდაც ეს მისი (მამასახლისის) სურვილის წინააღმდეგაც ჰხდებოდეს. მაგრამ არა მგონია, ეს ასე იყოს. მაშინ ხომ მამასახლისს შემოსავალი დააკლდება! თითო ბეჭდის დასმაში ათ შაურს იღებს მამასახლისი და ამ ფულს დაჰკარგავს? მე-კი დარწმუნებული ვარ, რომ იღონდ ბეჭდის დასასმელი ფული მიიღოს და თუნდა ერთის მაგიერ ორ პასპორტსაც გასცემს.

დიმ. ჯაში.

კავკასია

განზრახვა აქვთ ეკატერინოდარში გამოსცენ გაზეთი „Кубанскій Листокъ“-ი. როგორც „Нов. Об.“-ეს გაუგია, ამის შესახებ უკვე აღუძრავთ შუამდგომლობა ბეჭდვითი საქმის მთავარ-სამმართველოში.

რუსეთი

ოდესის მომრიგებელ-სასამართლოს მე-18 განყოფილებაში ამ დღეებში გაირჩა საქმე ახალგაზდა გასათხოვარ გლეხის ქალის ა. ნერუბოისკაიასი, რომელსაც ეკკლესიაში მყუდროების დარღვევა და ღვთის მსახურების შესრულებისათვის ხელის შეშლა ჰბრალდებოდა. ამ ერთის წლის წინად ამ ლამაზ ახალგაზდა ქალს შეუყვარებია სოფ. ნერუბოისკის მცხოვრები ვიღაც ვოზნესენსკი. როდესაც ქალს ორსულობა შემჩნევია, ვოზნესემსკის მაზედ გული აუცრუებია, ხოლო როცა ბავშვი დაბადებულა, სრულებით გაუგდია ქალი და განუზრახავს ჯვარის დაწერა მეორე ახალგაზდა ქალზე, ა. გრინგუსზე. ჯვარის წერის დღეს ნერუბოისკაიას წაუყვანია ბავშვი, მისულა ეკკლესიაში, ჩამდგარა მღვდელსა და მეფე-პატარძლის შორის და გულ-ამოსკვნით დაუწყია ტირილი და დაუშლია ჯვარის წერის წესის შესრულება. დამსწრე ხალხსა და პოლიციელს დიდის გაჭირვებით გაუყვანიათ ეკკლესიიდგან გონება წართმეული ქალი და დაუმშვიდებიათ. გაუგონია თუ არა ქალს ჯვრისწერის გალობა, ხელმეორედ შევარდნილა ეკკლესიაში და ქვის იატაკზედ წაქცეულა; დაუწყია ხმა მაღლა ყვირილი და ტირილი. გონება დაკარგული ქალი გაუგზავნიათ საქალაქო საავადმყოფოს სულით ავადმყოფთა განყოფილებაში, სადაც ექიმების შემოწმებით აღმოჩნდა, რომ საბრალო ქალს ტვინი შერყეოდა; ორ კვირაზედ მეტი ქალს ენა ჩავარდნილი ჰქონდა ხმა არ ამოუღია; კარგა მოვლის შემდეგ ცოტ-ცოტათი მობრუნებულა და დაუწყია ლუღლუღი... მოსამართლის შეკითხვაზედ,—რად ჩაიდინე ეს დანაშაულიო, ქალს ენა დაუჩლუნგდა, ხმას არ იღებდა. ბოლოს, როგორც იყო, ძლიერ ნელის ხმით განაცხადა თავჩაღუნულმა, რომ არაფერი არ მახსოვს, რაც ეკკლესიაში მოხდაო. მოწმეთა ჩვენებით დამტკიცდა, რომ ბრალდებული ქალი ვოზნესენსკისა და გრინგუსის ჯვრის წერამდე თავში იცემდა იმის გამო, რომ ასე მოტყუებული, შეურაცხყოფილი დარჩა. ისიცა სთქვეს, რომ ეკკლესიაში მღვდელი იძულებული იყო რამდენჯერმე შეეწყვიტა ჯვრის წერის წესიო. მომრიგებელმა მოსამართლემ გაამართლა ა. ნერუბოისკაია.

— „კიევის გაზეთში“ მოყვანილია სახელმწიფო კონტროლის შემდეგი განკარგულება: ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში, სადაც ქალები მსახურებენ, დღემდის დაწესებული იყო ქალებზე კაცებთან თანასწორი გარდასახადი, 9 ივნისს 1873 წელს დამტკიცებული კანონის ძალით, იმ ქალებს, რომელთაც სამსახურში ღებულობდნენ, პირველ თვის ჯამაგირს არ აძლევდნენ და სამსახურში რომ დააწინაურებდნენ, სამი თვის განმავლობაში წინანდელ ჯამაგირს აძლევდნენ. ყველა ეს, როგორც ახლა აღმოჩნდა, უკანონოდ სწარმოებდა და მოსამსახურე ქალებს უნდა დაუბრუნონ დაკავებული ფული; უკვე 1878 წელს მოახდინეს განკარგულება, რომ შტატში მყოფი ქალები განთავისუფლებულ იქმნენ ყველა ზემოხსენებულ გარდასახადისაგან და დღემდის, ე. ი. 25 წლის განმავლობაში, ეს განკარგულება დავიწყებული იყო.

— 1903—904 სამოსწავლო წელში ქ. პეტერბურგის ელექტროტეხნიკურ ინსტიტუტში საკონკურსო ეგზამენების მაგიერ მხოლოდ ატესტატების კონკურსი იქნება შემოღებული. ინსტიტუტის პირველ კურსზე წელს 100 ვაკანსიაა; სხვა კურსებზე სტუდენტებს არ მიიღებენ.

— ამას წინად საჯარო ვაჭრობით გაიყიდა სამარცხვინო მოღვაწეობით ცნობილი კრუშევანის გაზეთი „Знамя“. გაზეთი იყიდა კაპიტანმა შკოტმა. როგორც რუსეთის გაზეთები იუწყებიან, შკოტს ისევ მიუყიდნია „Знамя“ კრუშევანისთვის, ასე რომ ვაჭრობა ყალბი გამომდგარა.

— ციმბირში ბაიკალის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირის გამსწვრივ, 60 ვერსტის მანძილზე, ნავთის უტყუარი ნიშნები აღმოუჩენიათ.

უცხოეთი

იტალია. როგორც ერთ გერმანულ გაზეთს ატყობინებენ რომიდგან, კარდინალნი ვერავითარს გარკვეულ გზას ვერ დასდგომიან, რადგან კარდინალ ორეგლიას გარდა ვერც ერთი მათგანი ვერ დაესწრო კონკლავის. კათოლიკეთა ყველა მრევლს გაეგზავნა მიწერილობა, ვილოცეთ პაპის განკარგულებისათვისაო. კვირას ყველა კარდინალნი ვატიკანში შეიკრიბნენ. პირველად მოვიდა კარდინალ მატიე, რომელიც დიდხანს ებაასა სტატ-სეკრეტარ რამპალლას. შემდეგ მოუვიდა ეკკლესიის კამერლენგო კარდინალი ორეგლია, რომელსაც ყოველივე საჭირო განკარგულება მოეხდინა ვატიკანის უშიშარ-ყოფისათვის. გარდა ამისა ბრძანება მიეცა ყველა მუზეუმთა, წიგნთ-საცავთა, საფაელის ლოჯეტთა და სხვა დაწესებულებათა დაკეტისა. ივლისში კონკლავის მოწვევის საჭიროება იმ კარდინალთაც-კი აშინებს, რომელნიც მუდამ რომში იმყოფებიან და, მაშასადამე, შეჩვეულნი არიან სიცხეს. ზოგი მათგანი მძიმე ავადმყოფი შეიქნა. კარდიმალები ბჭობენ ლეონ მე-XIII-ის მოადგილის შესახებ, ამასთანავე იგონებენ, რომ პაპს ამას წინად ვენეციელ კარდინალ სარტოსათვის უთქვამს: „თქვენ მაგარის ხასიათისა და დიდად ჭკვიანი კაცი ხართ; თქვენ მეტად საჭირო კაცი ხართ კათოლიკეთა ეკკლესიისათვის. კარდინალი ორეგლია მხოლოდ დროებით განაგებს ეკკლესიასაო“.

ყველაზედ უფრო საეჭვოა კარდინალ რამპოლლას კანდიდატობა, თუმცა კარდინალთა უმეტესობა მისის შემწეობითაა დანიშნული. კარდინალ გოტის გავლენა, როგორც ვენური გაზეთობა იუწყება, შესამჩნევად შემცირებულა ამ უკანასკნელ ხანებში. ამბობენ,—ავსტრიის, გერმანიისა და იტალიის კარდინალნი კარდინალ ვანუტელლის მიემხრობიანო. ესპანიისა, საფრანგეთისა და ზოგიც იტალიის კარდინალნი რამპოლლას მისცემენ ხმარსაო.. კარდინალ ალიარდის, რომელსაც გერმანია მომხრეობს, ცოტა თანამგრძნობნი ჰყავს, რადგან შედარებით ახალგაზრდაა; კარდინალები ისეთს კანდიდატს ძვირად დაასახელებენ, რომელსაც დიდხანს შეუძლიან იმოღვაწეოს.

ავსტრია-უნგრეთი. ვენურ გაზ. „ნ. ფრ. პრ.“-ს ატყობინებენ ბუდაპეშტიდან:

„კიუნ-ჰედერვარის სამინისტროს საწინააღმდეგოდ მოწვეულს ყრილობას აუარებელი ხალხი დაესწრო: პოლიციის ცნობით, დამსწრეთა რიცხვი 20.000 კაცს აღემატებოდა. თუმცა მეტად მკაცრი სიტყვები იქმნა წარმოთქმული ყრილობაზე, მაგრამ წესიერება მაინც არ დარღვეულა. საღამოზე-კი ქალაქის ზოგიერთ უბანში დემონსტრაციები გაიმართა. პირველად ფრანც კოშუტის სადგომის წინ გამართეს საშინელი „კატათა კონცერტები“, შემდეგ კოშუტის დასის კლუბთან მოგროვდა დიდძალი ხალხი და მორთო ყვირილი: „ძირს სამშობლოს მოღალატენი კოშუტი, ჰედერვარი და მათი მეგობრებიო“. მოხდა შეტაკება მანიფესტანტთა და პოლიციელთა, რომელთაც დასჭრეს რამდენიმე კაცი და ბევრი დააპატიმრეს“.

— იმავე გაზეთის სიტყვით, სალონიკიდან ცნობა მოსულა, ამ დღეებში მაკედონიის კომიტეტთა წევრნი კიდევ აპირობენ ნაღმით აფეთქების განმეორებასაო. ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის ელჩებს გაუფრთხილებიათ პორტა, რომელიც მყისვე შეჰკითხებია ამის შესახებ სალონიკის გენერალ-გუბერნატორს. გენერალ-გუბერნატორს პასუხად შეუთვლია: პირადად მე ვიქნები პასუხის-მგებელი, თუ წესიერება და მშვიდობიანობა დაირღვესო. შეიძლება, მართლა ჰქონდეთ აფეთქების განზრახვა კომიტეტის წევრთ, მაგრამ გენერალ-გუბერნატორს, ალბად, დროით მიუღია საჭირო ღონისძიება მათ წინააღმდეგ.

საფრანგეთი. გაზ. „ტაიმს“-ში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი ბალკანეთის სახელმწიფოთა შესახებ. წერილის ავტორი სხვათა შორის ამბობს:

„ყველანი, ვინც-კი დაახლოვებით იცნობს უმახლობელეს აღმოსავლეთის საქმეებს, ირწმუნებიან,—სრულიად უსაფუძვლოა ის აზრი, ვითომ ბალკანეთმა უკვე დააღწია თავი საშიშ მდგომარეობასაო. პირიქით მოსალოდნელია, რომ მკის გათავებისათანავე, ე. ი., რამდენისამე კვირის შემდეგ მეამბოხენი განაახლებენ თავის მოქმედებას და ადვილად შეიძლება საყოველთაო აჯანყება მოხდესო. თვით ხონთქარიც ამ აზრისაა; მხოლოდ ამ შიშიანობით აიხსნება, რომ ოსმალეთის მთავრობა თავს უყრის დიდძალ ჯარებს კორსოვის, მონასტირისა, სალონიკისა და აგრეთვე ადრიანოპოლის ვილაიეტებში, ვითომ და ალბანელ ტომთა საწინააღმდეგოთ.

ამავე დროს მცირე-აზიიდგან გაიწვიეს დიდძალი მხედრობა და შეჰყარეს სათადარიგო ჯარები; ყველა ამ ჯარებს მთავარ-სარდლად ომარ-რუშდი-ფაშა დაუნიშნეს.

ეს გარემოება, რასაკვირველია, აფიქრებს ბულგარიის მთავრობას; ან-კი როგორ არ ჩაფიქრდეს, როდესაც მის საზღვრებზედ ასეთი გაცხარებული მზადებაა საომრადაო“.

— მინისტრთა საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს რენეგობლეს ვრცელი წერილი დაუბეჭდია ერთ საპოლიტიკო გაზეთში ეხლანდელ სამინისტროს წინააღმდეგ. გობლე ამბობს:

„თქვენმა პოლიტიკამ—მიჰმართავს გობლე მინისტრ-პრეზიდენტ კომს—ის ნაყოფი გამოიღო, რომ ჩვენი ქვეყანა მრავალ მოპირდაპირეთა ბანაკად გარდაიქცა, რასაც ჯერ საფრანგეთში არავინ მოსწრებია. არასოდეს არც მონარქისტებს, არც ბულანჟისტებს და არც ნაციონალისტებს ასე ძლიერად არ შეურყევიათ საფრანგეთი. ეს მღელვარებას ეჩნევა არა მარტო ხალხს, არამედ მხედრობას, ადმინისტრაციას და მაგისტრატურასაც. რეფორმათა პროექტები, რომელ-

---

როთა შორის იყვნენ: თ. დიმიტრი ორბელიანი, მეფე ვახტანგის ქვისლი; თ-დ ნოდარ ბარათაშვილი, გერასიმე და შიო ჯავახიშვილები, თ. დიმიტრი შალიკაშვილი, თ. მამუკა დავითიშვილი, თ. მელქისედეკ ბარათაშვილი, ვახტანგ თურქესტანიშვილი, სოლოღაშვილი, ხერხეულიძენი, თავ. ამილახვრები. აზნაურნი: ბორის ეგოროვი, გაბრიელ და ივანე მაჭავარიანები, მიხეილ და მათე ჩხეიძეები და დავით თუხარელი. ამ თავადების გვარებში ამილახვრებს პირველი ადგილი ეჭირათ და სამსახურშიაც იყვნენ რუსეთში. მაგალითად, ილია ბორისის ძე თურქესტანიშვილი პოლკოვნიკი იყო; თავ. იაგორ ვასილის ძე ამილახვარს დეისტ. ტაინი სოვეტნიკის ჩინი ჰქონდა და კოლეგიის პრეზიდენტი იყო. მოკვდა მოსკოვში და იქვე დასაფლავებული. დეისტვ. სტატსკი სოვეტნიკი თავ. ევგენი ვასილის ძე ამილახვარი სამოქალაქო განყოფილების თავმჯდომარედ იყო. ისიც მოსკოვში გარდაიცვალა. თ. ელისე პოტაპის ძე ამილახვარი გენ. მაიორი იყო.*) სასულიერო წოდების კაცნი ასტრახანში სულ თავისუფლად ჰგრძნობდნენ თავიანთ თავს. არც ერიდებოდნენ რუსთა მკვიდრთა და არც არაფერს ჰკითხავდნენ ადგილობრივ სასულიერო მთავრობას. დადიოდნენ მართლმადიდებელ ეკლესიებში, სწირავდნენ, ლოცულობდნენ; მღვდელთ-მთავრები აკურთხებდნენ მღვდლებს, დიაკვნებს და მთავრებს. ასრულებდნენ ყოველგვარ მღვდელმსახურებას და სცხოვრობდნენ თავისებურის ცხოვრებით. იმ დროს ასტრახანის ეპარქიას განაგებდა ეპისკოპოზი ლავრენტი, თვითონ ბუნებით კეთილი და გონიერი ადამიანი. მღვდელთ-მთავარი ლავრენტი პირველ ხანებში ძრიელ კარგად უყურებდა ქართულ სასულიერო წოდების ღვთის სამსახურს და მათს ცხოვრებას, მაგრამ შემდეგ, როდისაც ჩვენმა სამღვდელოებამ საქციელითაც და მოქმედებითაც ქართველური გადაჭარბება გამოიჩინა მღვდელთ-მთავარი ლავრენტი იძულებული შეიქნა ეცნობებია ყოველივე უწმინდესის სინოდისათვის და თავისი თავი დაეხსნა ქართველების საყვედურისა და პასუხის გებისაგან: „ქალ. ასტრახანში სულ 9 მართლმადიდებელი ეკკლესიააო“, სწერდა მღვდელთ-მთავარი ლავრენტი უწმ. სინოდს, „ამ 9 ეკლესიაში ექვსი ეკლესია ქართველებმა დაიჭირეს; დანარჩენი სამი ეკკლესია ვერასოდეს ვერ შესძლებს ჩემდა რწმუნებული ქალაქის სამღვდელოება შეინახოს, ჩემს განკარგულებას არ ემორჩილებიან ქართველები, ვსთხოვ უწმ. სინოდს მომცეს დარიგება და დახმარება, თუ როგორ მოვიქცე ამ შემთხვევაში“ *).

ამის შესახებ უწმ. სინოდს დიდხანს არ დაუყოვნებია, ფიცხლავ მისცა ბრძანება ეპისკოპოზს ლავრენტის, ასეთის შინაარსისა: „იმ სასულიერო კაცთა, რომელნიც საქართველოდგან მეფე ვახტანგს გადმოჰყვნენ და დღეს ქ. ასტრახანში იმყოფებიან — გიბრძანებთ სცეთ დიდი პატივი და მისცეთ ნება, რომელ ეკკლესიაშიაც ან მრევლშიაც ისურვონ სამსახური—არ დაუშალოთ. თავიანთ ადათზედ და რჯულზედ შეასრულონ წირვა-ლოცვა, კურთხევა, ქორწინება და ყველაფერი; თქვენ არაფერში არ გაერიოთ და არც დაუშალოთ“ *)...

თუმცა ამ გვარი ყურადღება უწმ. სინოდისა ქართველებისათვის დიდად სასიამოვნო და სასიხარულოც იყოო, მაგრამ ქართველებს დიდხანს არ უსარგებლიათ ასტრახნის ეპარქიის მმართველის ყურადღებით. მეფე ვახტანგი არ იყო კმაყოფილი თავის მდგომარეობით. არ მოსწონდა ასტრახანში დაბინავება, თავის დიდებულების მოუწყობლობა, და შეუძლებლობა. მუდამ იმასა ფიქრობდა, რომ უმაღლეს მთავრობას, როგორმე მისთვის უფრო მეტი ყურადღება მიექცია და მის მდგომარეობის შესაფერი ჯამაგირი გაეჩინა... ეს, რასაკვირველია, შესაძლებელიც იყო, მხოლოდ არა ასტრახანში, არამედ იქ, სადაც მათი ხელმწიფე იმპერატორი სცხოვრებდა. ამ ფიქრებით მოცულმა მეფემ 1725 წ. მაისში წაიყვანა სამი მღვდელთ-მთავარი: არქიეპისკოპოსი ქრისტეფორე, მიტროპოლიტი პავლე და ეპისკოპოსი ნიკოლოზი ას-ორმოცდა-თხუთმეტის მხლებლებით და რუსეთის დედაქალაქ მოსკოვს მივიდა. ასტრახანში დარჩა სამი ეპისკოპოზი და 61 ერის კაცი. შემდეგში არც ესენი დარჩენილან აქ დიდხანს. ყოველ წლივ აქედგან თითო, ორ-ორი ქართველი მიდიოდა მოსკოვს და ან რუსეთის სხვა რომელსამე დიდ ქალაქში... ქართველთ მღვდელ-მთავარნი, მივიდნენ თუ არა მოსკოვს, მაშინვე მიართვეს თხოვნა უწმ. სინოდის კანცელარიას და ითხოვეს, დაგვინიშნეთ შესაფერი ჯამაგირები, მოგვეცით საზრდოდ პური და მოახდინეთ განკარგულება, რომ წასვლა-წამოსვლის დროს უფლება გვქონდეს სახელმწიფო ცხენებითა და ეტლით ვიაროთო. უწმ. სინოდის კანცელარიამ ვერ გადასწყვიტა ეს თხოვნა და სინოდს მიჰმართა. მაგრამ სინოდსაც ძრიელ გაუჭირდა ამ საგნის გადაწყვეტა, რადგან მოსულ ქართველების რიცხვი ისე ბევრი იყო, რომ იმათი ჯამაგირი ძრიელ ბევრს ფულს თხოულობდა და საშუალება-კი არსად იყო, სინოდი შეჩერდა და ფულის ძებნას შეუდგა. ეს იწყინა არქიეპისკოპოსმა ქრისტეფორემ და გაჯავრებული თვითონ წავიდა პეტერბურგში; მივიდა და პირდაპირ ითხოვა ჯამაგირების დანიშვნა; დიდის თათბირის შემდეგ სინოდში დაადგინეს:

„მიეცეს ქართველებს ჯამაგირი იმ ფულიდგან, რომელიც გადადებულია პალესტინიდან მოსულ მღვდელთ-მთავრების და მათის კრებულის საზრდოთ. აქედგან დაენიშნოთ 2000 მ., რადგან ხანდისხან, ორ წელიწადში ერთხელ მოდიან ამ ქვეყნებიდგან რუსეთში და ეს ფული-კი ტყუილად ინახებაო. ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ ქართველებიც სამზღვარ გარედ მცხოვრებლებათ იწოდებიანო“. შემდეგ 1728 წ. ივლისის 19 უწმ. სინოდმა გადასდო 3000 მ. ქართველების ყოველ წლიურ ჯამაგირად და გაანაწილა ამ რიგად: ხუთ ეპისკოპოზს 150 მ. თითოს წელიწადში; ხუთს არქიმანდრიტს 70 მ. თითოს; ექვს წინამძღვარს—მონაზონს ხუთ-ხუთი თუმანი თითოს; ერთს უფროს მღვდელს 40 მ.. ერთს არქიდიაკონს 25 მ ; ექვს მღვდელს 25 მ. თითოს; შვიდს დიაკონს 15 მ. თითოს; ორს ბერს 12 მ. თითოს. ამას გარდა უნდა მისცემოდათ პურიც. ეპისკოპოზებს ხუთ-ხუთი კერძი თითოს, არქიმანდრიტებს სამ-სამი, წინამძღვრებს ორ-ორი, დანარჩენს მღვდლებს და სხვას—თითო-თითო კერძი. ამასთან ნაბრძანები იყო, რომ მღვდელთ-მთავრებს, საჭიროების დროს, მისცემოდათ ეტლი და ცხენები“ *).

თ. ხუსკივაძე.

(შემდეგი იქნება)

---

*) ბუტკოვი. Матеріалы для новой ист. Кавказа часть 1 стр. 65, 66, 67.

*) Доношеніе Астраханскаго Епископа Лаврентія въ Свят. Сѵнодъ отъ 14 апрѣля 1725 года.

*) უწმ. სინოდის უქაზი 25 ივნისს 1725 წ.

*) უწმ. სინოდის უქაზი 26 ოქტომბერს 1728 წ, № 1855.

თადმი მიპყრობილი იყო მთელი ყურადღება საზოგადოებისა და ესოდენი სჯა-კამათი გამოიწვია პარლამენტში, ან სრულიად დავიწყებულ იქმნა ან განუსაზღვრელ დრომდე გადაიდო...

ყველასათვის მეტად ცხადია, რომ კომბის პოლიტიკის წყალობით არა თუ მარტო შინაური მშვიდობიანობა და წესიერება დაირღვა, საზღვარ-გარედაც სახელი გაუტყდა საფრანგეთის მთავრობას.

ასეთ პირობებშიო—ამაობს გობლე—პოლიტიკის მოვალეობაა ბოლო მოუღოს საქმეთა ამგვარ ვითარებას და რაც ადრე მოხდება ესა, მით უკეთესიო. ეს აუცილებლად საჭიროა, რათა ჩვენს ქვეყანას დავუბრუნოთ ის მყუდროება, რომელიც ამ უკანასკნელ დრომდე სუფევდა საფრანგეთშიო. რაიცა შეეხება საგარეო პოლიტიკას, უნდა ვეცადოთ, რომ საფრანგეთმა არ დაჰკარგოს ის სარგებლობა, რომლის მოსაპოებლადაც მთელის ოცდაათ წლის განმავლობაში ვშრომობდით. მაგრამ რა გავლენა უნდა ჰქონდეს მსოფლიო პოლიტიკაზე იმ ხალხს, რომელსაც თავის შინაურული საქმებიც-კი ვერ მოუგვარებია? საით მივდივართ? ესმით-კი ესა, ვისაც მინდობილი აქვს ჩვენი წინამძღოლობა და მაშასადამე, ეკითხებათ ჩვენის ქვეყნის სვე-ბედი და რესპუბლიკის მდგომარეობის სიმტკიცე“?

ნარკვევი

გაზეთ „ნოვოსტ“-ში დაბეჭდილია ლ. ნ. ტოლსტოის ფიქრები, რომელნიც აქამდის არ ყოფილან გამოქვეყნებული.

მეტად საგულისხმო სიტყვა მითხრა ბ-ნმა №-მა. ჩვენ ვმუსაიფობდით იმის შესახებ, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინეს გლეხებზედ წიგნებმა. ძნელია გლეხების დაკმაყოფილება, რადგან მათი ცხოვრება ერთობ დინჯი, სერიოზულიაო.

ღრმა აზრიანი სიტყვაა ეს სიტყვა, ნეტავი ბევრს ესმოდეს ჩვენ დროში მისი მნიშვნელობა.

—

ამბობენ, ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ შეჰქმნისო. ნუ თუ იმიტომ, რომ ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ შეჰქმნის, არ უნდა გაფრინდეს ის მერცხალი, რომელიც გრძნობს გაზაფხულს და უნდა უცადოს მას? ასე თუ იქმნა, მაშინ ყოველმა მცენარემ, ყოველმა კოკორმა უნდა უცადოს და გაზაფხულს ვეღარ მოვესწრებით.

—

გაზ. „Новости“-ში მოყვანილია ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გადმობეჭდილი ბ-ნ “Ом“-ის წერილი კავკასიაში ღვინის მონოპოლიის შემოღების წინააღმდეგ, რომელსაც „Новости“ დასძენს, რომ ადგილობრივს საზოგადო მოღვაწეთა მოვალეობაა, განმარტონ, თუ რა მავნე შედეგი მოჰყვება კავკასიაში ღვინის მონოპოლიის შემოღებას, და იმედია ფინანსთა სამინისტრო უარჰყოფს ამ თავის განზრახვასო.

—

ჟურნალ „Право“-ს მე-25 №-შო შემდეგი შემაძრწუნებელი ამბავია დაბეჭდილი:

„Уральская жизнь“ იუწყება, რომ პერმის გუბერნიის სოფ. კასლში ქმარს წაუყვანია ცოლი (60 წლ.) მინდორში, გადმოსულა „პოვოზკიდან“, დაუმკლავებია, შიშისაგან ცოცხალმკვდარ ცოლისათვის წაუვლია თმებში ხელი და დაუწყვია წამება სისტემატიურად, მოფიქრებით. სცემდა მუშტებით, ათრევდა და სთელავდა ფეხებით, სცდილობდა ეცემნა ქუსლებით მუცლის ქვემოთა ნაწილზე... მერე თავის მსხვერპლს ბოთლით დაუწყო ცემა თავში; მიაბა თმებით „პოვოზკას“ და გარეკა ცხენი. ცხენი გაიქცა და დააგლიჯა თმები „ხორცით“... შემდეგ მიწაზედ დააწვინა ცოლი, რომელსაც ტანზედ სამოსელიც-კი აღარ შერჩენოდა სრულებით და ზედ გადაატარა და გადმოატარა „პოვოზკა“. აღსანიშნავია, რომ ცხენი არც ერთხელ არ შეჰხებია, საცოდავ ქალს არც ერთხელ არ დაადგა ფეხი, მხოლოდ გადაუვლიდა ხოლმე პოვოზკა, რომელზედაც ქმარი იჯდა.... შემთხვევით იქ გლეხკაცებს გამოუვლიათ, მიჰშველებოდნენ საბრალოს, გამოგლიჯათ მსხვერპლი გაშმაგებული კაცის ხელიდან და ეს უკანასკნელი გაქცეულიყო... ამ დროს მოსულიყვნენ ნათესავები და წაეყვანათ გატიტვლებული, უგრძნობელი, დასისხლიანებული, დაშავებული მოხუცებული ქალი. საცოდავს აღმოაჩნდა გვერდი ჩალეწილი და ბევრი სხვა მძიმე ჭრილობა“.

ნარევი და ნაკვესი

კალიფორნიის (შერთებ. შტატ.) ერთ მდიდრულ სასტუმროში ამას წინად შეიყრნენ სასადილოდ რამდენიმე ოსმალო, ერთი ინგლისელი და ერთიც ამერიკელი, რომელთაც სანაძლეოდ დასდეს, — შესანიშნავი სადილი გაუმართოთ და ვინც უკეთესს სადღეგრძელოს იტყვის თავის სამშობლოს პატივსაცემლად, ის განთავისუფლებულ იქმნას სადილის ფულის გადახდისაგანო. დათანხმდნენ ამნაირს პირობაზედ სამივენი. სადილის დროს პირველი სადღეგრძელო ოსმალომა სთქვა.

— გაუმარჯოს ოსმალეთის ნახევარ-მთვარეს, რომელსაც ჯერ ვერავინ ვერ გაუბედა რქების მოტეხაო!

—გაუმარჯოს შეერთებულ შტატების ვარსკვლავებსა და ლენტებს, რომელიც ჯერ ფეხ-ქვეშ არავის გაუთელიაო,—სთქვა ამერიკელმა.

წამოდგა ინგლისელი და, ცოტა ხნის ჩაფიქრების შემდეგ, ამაყად წარმოსთქვა:

— ვიღებ ხელში თასს და ვსვამ სადღეგრძელოს დიდის ბრიტანიის მგრგვინავ და თავზარდამცემ ლომისას, რომელმაც დიდი ხანია ოსმალეთის ნახევარ-მთვარეს გამოჰხრა რქა და ეხლა ნადირობს ამერიკის შეერთებულ შტატების ვარსკვლავებზედ, რომელნიც უკვე ლტოლვილ იქმნენო.

ამგვარად, ინგლისელი განთავისუფლდა სადილის ფულის გადახდისაგან, რადგანაც ყველაზედ უკეთესი სადღეგრძელო თავის სამშობლოს პატივსაცემლად იმან წარმოსთქვა!

„ივერიის“ ფოსტა

ქ. ქუთაისს. ნოე გონდოლელს. თქვენი ლექსები **უსათაურო** და **„მეგობარს“** არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

1 ივლისი.

ბერგენი. გერმანიის იმპერატორი აქ მოვიდა *).

რიაზანი. ზარაის მაზრის სოფ. ლოვიცაში ცეცხლი გაჩნდა და გადაიწვა 300 სახლი, ეკკლესია, ბოქაულის სადგომი, ფოსტის განყოფილება, სასოფლო სამმართველო და დუქანი. ცეცხლმა ხალხიც იმსხვერპლა.

ნიკოლაევი. ბულგარიის ფლოტილიის უფროსმა კომისიასთან ერთად ჩაიბარა ბულგარიის მთავრობის მიერ ნიკოლაევის გემების სააღმშენებლო ქარხნისათვის შეკვეთილი სასეირნო ორთქლმავალი ნავი ბულგარიის მთავრისათვის. ეს პირველი შემთხვევაა, რომ რუსეთს უცხო სახელმწიფოსაგან შეკვეთით გემი აეგოს.

რომი. პაპი თანდათან სუსტდება. მისი მდგომარეობა საფიქრებელია, მაგრამ აუცილებელი შიში მოსალოდნელი არ არის.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. ინდოეთის საქმეთა სტატს-სეკრეტარმა ლორდ ჰამილტონმა აუწყა პალატას, რომ მთავრობამ მიიღო ღონისძიება ბრიტანელ კომისარების გაგზავნის შესახებ, რომელნიც უნდა შეჰხვდნენ დალაი-ლამის რწმუნებულთ იმ აზრით, რომ განიხილონ საკითხი საზღვრების გამოსარკვევად ინდოეთსა და ტიბეტს შორის და განაცხოველონ ვაჭრობა ორსავე ქვეყანას შუა.

ბერლინი. ბულგარელი მიტროპოლიტი სტრუმიცისა გერასიმე, თანახმად სულთანის ირადესი, გაათავისუფლეს პოლიციის ზედამხედველობისაგან და კვლავ ცნობილ იქმნა მიტროპოლიტად.

სოფია. სტამბოლიდგან მეტად სამშვიდობო ცნობანი მოდის. პორტამ დანამდვილებით მისწერა მაკედონიის გენერალ-გუბერნატორებს, ყოველი ღონე იღონონ საქმეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მცხოვრებთა მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფელად. ბულგარიის მთავრობამაც თავის მხრივ არამც თუ გადასდო სამხედრო მზადება, არამედ აფერხებს კიდეც აჯანყებულების ყოველს მოქმედებას.

სტამბოლი. რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის ელჩებმა პორტას ყურადღება მიაქცია კერძო სამხედრო კაცთა, სამოქალაქო მოხელეთა და რამდენისამე მაჰმადიანის უწესო მოქმედებას უსკუბის ვილაიეტის აღმოსავლეთ ოლქებში. ეს ოლქები ამ ახლო ხანებში ინახულეს რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის ელჩებმა და მოითხოვეს დამნაშავეთა შესაფერი დასჯა. პორტამ გაჰგზავნა ამ ადგილებში კომისია საქმის გამოსაძიებლად სამხედრო და სამოსამართლო უწყებათა მოხელეთაგან. მთავარ ინსპექტორმა ხილმი-ფაშამ პირადად მოიარა კუმანოვო, იშტიპი, კრატოვო, კოჩანი, პალანკუ და მულეშ-პლანინის თემი.

რომი. ღამით პაპის რამდენჯერმე პირს აღებინა. დრო გამოშვებით ცნობას ჰკარგავდა. ყოველივე იმედი მოჩრჩენისა ამაოა. მისი მდგომარეობა მეტის-მეტად საშიშია.

იოკოჰამა. სამინისტროს კრიზისი გათავდა.

ლვოვი. დასავლეთ გალიციის მრავალი ადგილები წალეკილია. კრაკოვის მიდამოები წყალ ქვეშ იმყოფება.

ლონდონი. შავი ჭირი ვრცელდება ჩილის თითქმის ყველა ნავთსადგურებში.

ათინა. პალატაში რალიმ განმარტა ახალის სამინისტროს პროგრამა. პალატამ ერთხმად ნდობა გამოუცხადა სამინისტროს და მიიღო კანონ-პროექტი დეპუტატთა რიცხვის შემცირების შესახებ 234-დგან 198-მდე.

სტამბოლი. სულთანმა ჰბრძანა,—გაღებულ იქმნას ბულგარელთა დაუქმებული ეკკლესიებიო.

ბელგრადი. გუშინ აფიცრებმა საკრებულოში დიდის აღტაცებით მიიღეს მეფე პეტრე I-ლი, რომელიც აფიცრებისაგან გამართულს სალამოს დაესწრო.

ბელგრადი. მეფე პეტრეს დისწული ნენადოვიჩი პეტერბურგს მიდის, რომ მოაწყოს საქმე პრინცებისა და პრინცესის სერბიაში დაბრუნებისა.

2 ივლისი.

კოვნო. ივნისის 30-ს დიდის მთავრის ვლადიმერ ალექსანდრეს ძის თანადასწრებით იდღესასწაულეს მე-7-ე ცხენოსან პოლკის ასის წლის იუბილეი.

პარიჟი. საერო დღესასწაულისა გამო ლონშანის მინდორზედ გაიმართა ჯარის აღლუმი.

პორტ-არტური. ლესარის ნახვის შემდეგ პრინცი ცინი თავს იავადმყოფებს და იაპონიის და ინგლისის რწმუნებულთ არ იღებს.

რომი. სალამოს 8 საათის ბიულეტენი: „მაჯა სუსტად უცემს ავადყოფ პაპს; ღონე თანდათან აკლდება.“

სტამბოლი. საეგზარხოსომ ხელახლად წარუდგინა პორტას ცნობები დაპატიმრებულ მღვდელთა და საეკლესიო ლოტბართა შესახებ; პორტამ აღუთქვა მათი დაუყოვნებლივ განთავისუფლება, ეკლესიებისა და სკოლების მფარველობა და ავაზაკურ მოქმედებათა შეწყვეტის შემდეგ საოლქო მმართველობაშიაც ცნობილ უპირატესობათა მიცემა.

პეტერბურგი. „მთავრ. უწყ.“-ში სწერია: უმაღლესად ნაბრძანებია საევროპიო რუსეთის 46 გუბერნიაში საპოლიციო სადარაჯოთა დაარსება და სამრეწველო დაწესებულობაში სტაროსტების დაწესება.—დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება, რომელშიაც ნათქვამია ჯარისა და ფლოტის შესავსებათ 1903 წელს 320,732 კაცის მოწვევა.

---

*) გუშინ ეს დეპეშა გადამახინჯებული იყო და ამიტომ ხელმეორედ ვბეჭდავთ.

რედ.

პეტერბურგის ბირჟა, 1 ივლისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	37,32½
ლონდონში ჩეკები	94,45
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,60
პარიჟის დისკონტი	6 6¼%
4% სახელმწიფო რენტა	98⅜ გაყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	100¾ მყიდ.
4% გირავნ. ფურც სახელ. სააღგ. მამულო ბანკის	95⅛ მყიდ (?)
5% I შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	446½ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	339 გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სააღგ.-მამ. ბანკისა	290 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	91⅜
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. სააღგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	92½ გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. სააღგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	101 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	92¼ წვ. გაყ.
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9300 წვ. გაყ.
აქციები „ „ „ „	465. წვ.
„ კასპიის ამხანაგობისა.	—
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	—
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	185½ წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 სალამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს; 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და **ერევანს**: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № 9/10 დილის 6 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 სალამოს 10 21 წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 სალამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 28 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

ზორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

განცხადება

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ლაბარატორია

რის გუტმანისა

მისის იმპერატორებითის. უდიდებულესობის კარის ვაჭარი.

ВѢРНАЯ СМЕРТЬ.

ინდოური მიშუნაი

(ქიმიკოსის რის გუტმანისა)

ნამდვილი გაწყვეტა ვირთაგვებისა, თაგვებისა, თხუნელებისა და სხვათ მათ გვართა. ეს საშუალება განდევნის სახლებიდგან და სადგურებიდგან, განსაკუთრებით ზემოხსენებულ პირუტყვებს იმრიგად, რომ იატაკის ქვეშ არა რჩებიან და ცუდს სუნს არავრცელებენ იქიდგან. ფასი 60 კ.—1 მ. 50 კ.

ინდოური ფხვნილი მწერთა მოსაგერებლად ყველაზედ ნამდვილი საშუალება საბოლოვო გასაწყვეტად ყოველგვარ მწერთა და მათის თესლისა. ეს ფხვნილი შეუდარებელია რწყილის და ბაღლინჯოს გასაწყვეტად კრაოტებში, ლეიბებში, გალესილ კედლებში და აგრეთვე ფიცრის კედლებში. რომელსაც გაკრული აქვს ნაბდები და ნაძენძი. ჩრჩილსა სწყვეტავს ნავთალინისავით და ამასთან მასავით მძიმე სუნი არა აქვს. ამიტომ საჭირო არ არის ქურქისა და სხვა ტყავიან საცმელების შესანახავად მიცემა ზაფხულში. ეს ფხვნილი თავის მოქმედებას ყოველ გვარი ქია-ღუის წინააღმდეგ თითქმის წუთის განმავლობაში იჩენს. ფასი 35 კ., 65 კ. და 1 მ. 20 კ.

სითხე ბაღლინჯოს წინააღმდეგ (ქიმიკოსის რის გუტმანისა). სამუდამოთა სწყვეტავს. სასიამოვნო სუნისა არის და ამასთან არ ალაქავებს საცვლებს, შპალერს და მებელს. შეფრქვეული ოთახის ჰაერს სასიამოვნოდ აგრილებს და ამასთან ერთად განდევნის ჩრჩილს, ბუზებს და კოღოს. ფ. 60 კ.—1 მ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის გუტმანისა) გან. კურნავს ბებერას, მეჭეჭს და სხვა ამ გვარს, მოკლე დროს განმავლობაში. ძირიან-ფესვიანად სპობს და ამასთან არავითარ ტკივილს არ აგრძნობინებს მიანს. ფასი თითო ფლაკონისა 60 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისში, საათფიაქ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველს საათფიაქო მაღაზიაში.

(40—5.—27)

„GRAND PRIX“

PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К°

„Золотой Ирисъ“

ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართ. წიგნის მაღაზიებში.

სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

სიმღერა აკაკისა. ფასი	15 „
თამარ მეფის სურათი აკაკის ლექსით	6 „
პატარა ჩონგური ლექსი (დედა-ენა)	5 „
თამარ მეფე მოთხრობა აკაკისა	5 „
ვაჭრული ჭკუა, ლექსი აკაკისა	5 „
დათუნა ბოციქიძე **როსტომ ერისთავი** { ძველებური ამბავი აკაკისა	5 „
აბრამის და იოვბის ლექსი	3 „
ოქრუა (ხალხური ზღაპარი)	5 „
ორი ქოსატყუილა **ბიჭია მენახირე** **მეფე და სკვინჩა** { ხალხური ზღაპარი.	10 „

ვინც მოისურვებს ამ წიგნების სყიდვას ან დაბარებას, მიმართოს ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) არჯევანიძის სახ. **ანნა მერკვილაძის ქალთა ტანისამოსის საკერავლო მაღაზიაში.**

ვინც თვითოეულ გამოცემას იყიდის არა ნაკლებ ერთი მანეთისა, **ყოველ მანეთზე დაეთმობა თითო აბაზი.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Георгіевская (Кашветская) ул., д. Аржеванидзе. № 12 модная мастерская Анны Мерквиладзе.

გამოვიდა და იყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომაურისა, ფასი 5 კაპ.

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოცემა შეიძლება ფასდადებით შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распростр. грамотности.

„გამოვიდა და იყიდება ყველგან

„ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნი

ბარტეკ ძლევამოსილი

ჰენრიკ სენკევიჩისა

IV+106 გვ. ფასი 20 კაპ.

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1903—1904 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით**, 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა და **წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და სალამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე გრიდოოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს **ს. პ. მანუელიანცს**, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსებზე სწავლა ყოველ დღე

(25—160—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 іюля 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамидзе), д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი